ახალი

# საქართველო

წელიწადი პირველი | ხუთშაბათი. 10 ივლისი 1919 წ. № 5 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამარ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ნიკოლოზ იაკობის ძე ვაშაძე შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რომ შაბათს, მკათათვის 12 ს) ქ. თელავში ღვთაების მართლმად ეკლესიაში გადახდილ იქნება პირველის მეუღლის, ხოლო მეორეთა საყვარელ დედის

მარიამი სოლომონის ასულის

ვაშაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი 10 საათზე.

1—2512 1

თავზარ დაცემულნი მშობლები ესტატე დიმიტრის ძე ლომიძე დ ელისაბედ ანდრიას ასული შვილებითურთ მიტუშა და თამარათი, სიძით იოსებ ჩახნადაშვილით და მამიდა ელისაბედ გერასიმენკოთი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა რომ 8 ივლისს გარდაიცვალა სტუდენტი მედიკი დაუვიწყარი და საყვარელი

მიშა (მიხეილ) ესტატეს ძე

ლომიძე

დაკრძალვა მოხდება ქ. სურამში ფერისცვალების ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—2513 1

დიტრიხის

თავლა-ლუდის მხდელი საზ-ბა. გ. ვეტცელი ძმებით და ამხ.

(ყოფილი დიტრიხის ქარხანა) დიდუბის ქ. № 2, ტელეფონი 780.

შავი ხავერდოვანი ლუდი ფასი ბოთლისა ადგილობრივ—13 მ., მიტანით 13 მ. 50 კ.

ლუდი-ექსპორტი (ღია ფერის). ადგილზე—11 მ., მიტანით—11 მ. 50

ლუდი ბოჭკობით—ვედრო—190 მ., ვედრო გადატანით—200 მ.

1—2509—1

საუკეთესო ღირსების ლუდი

ლუდი

„თბილისის ლუდის გამომხედელი ს-ბა“

იყიდება ლუდი

ინგლისურ საუკეთესო მასალისგან

დამზადებულ ი ნოე სიხარულიძის ახალ ქარხნებში (ყოფ. ვეტცელის) დიდი მთავრის ქ. № 68. ტელეფონი № 9—47

2—2560—1

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა

მიწის საკითხი საქართველოში

ალ. ისათიანისა

თ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. ახელმწიფოს საავრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის ჯირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9; მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11. რევოლიუციური საავრარო პოლიტიკა; 12. ბოდოსიტყვაობა. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში. 10—უ—3

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ სამშაბათს მკათათვის 15-ს გაიმართება

საჯაროდ ვაჭრობა

მაღაზიის ქირით გაცემაზე (ერევნის მოედანზე). ვაჭრობა 12-ს საათზე დაიწყება. ყოველგვარი ცნობები მიიღება მე 4-ე საიჯარო განყოფილებაში თბ. თვითმართველობაში.

(3—133—1)

იყიდება

სხვა და სხვა ფერის აბრეშუმის მატერიები და ზაგნი ტავტა კოფტა, აბრეშუმი კრემ „დე-შევი“, ქალების სხვა და სხვა საცვლები ხელ საყრელ ფასებში. ხუთი დღის მერე გადაეცემა ვაჭრებს პარტიებით.

მისამართი: სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 92, მიხეილის ქუჩა, № 103. ნახვა შეიძლება სალამოს 3—7 საათამდე. 1—2515—1

## წევრთა საყურადღებოდ!

კოოპერატივ „დახმარებამ“ მიიღო სიმინდი და სიმინდის ფქვილი. წევრებთ შეუძლიათ შეიძინონ კოოპერატივის ორთავ მაღაზიაში.

## ადმინისტრაციის თვითნებობაზედ

საქართველოს ადმინასტრაციაზედ წერა, დღეს თვითნებობაზედ წერას უდრის.

არც ერთი მხარე ჩვენი სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ისე მოშლილი და მოუწყობელი არ არის, როგორც ადმინისტრაცია და არსად არ არის გამეფებული თვითნებობა და მოხელეთა თავგასულობა ისე, როგორც ამ დაწესებულებაში.

საკმარისია მხოლოდ გადახედოთ ყოველ დღიური საგაზეთო ქრონიკა, რომ თვალში გეცემათ ერთი მეორეზედ აღმაშფოთებელი მაგალითი ჩვენი დედა ქალაქისა და პროვინციელ ადმინისტრატორთა ძალმომრეობისა და სრული მოურიდებლობა მოქალაქის ატივის და მშვიდობიანობის წინაშე.

დღევანდელ გაზეთებში თქვენ შეხვდებით ორ ცნობას, რომელნიც თავის და თავად იქნებიან მეტყველნი ჩვენს სახელმწიფოში დამყარებულ წესებისათვის:

„ქ. ონიდან იტყობინებიან, რომ სახალხო გვარდიელებს იქ დაუტუსაღებიათ სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნი ჯაფარიძე. საქმე მდგომარეობს შემდეგში: სახალხო გვარდიელებმა მიიყვანეს ხსენებულ გამომძიებელთან დატუსაღებული მოქალაქე, ხოლო უკანასკნელმა გაანთავისუფლა იგი, რადგან საკმაო საბუთი ვერ ჰპოვა მის დატუსაღებისათვის. მაშინ გვარდიელებმა დაატუსაღეს თვით გამომძიებელი და მისგან განთავისუფლებული მოქალაქე“.

საქართველოს რესპუბლიკის კანონით, მოსამართლის და გამომძიებლის პიროვნება სრულის იმუნიტეტით სარგებლობს და ამაშია ჩაქსოვილი ღრმა აზრი, საუკუნოებით დამუშავებული იურიდიულ მეცნიერებაში, სამოსამართლო საბჭოს სრული თავისუფლებისა და განკერძოების რომელიმე უწყების, ან მოხელის საქმეში ჩარევისაგან.

მოსამართლე და გამომძიებელი პასუხის მგებელია მხოლოდ თავის სვინდისის და სასამართლოს პიროვნელ სამსჯავროს წინაშე, რომელსაც მხოლოდ ერთს აქვს უფლება მოსთხოვოს პასუხი მ.ის მოქმედებებში.

მაგრამ რა შუაშია კანონი საქართველოში, ან ვინ უნდა დაიცვას მეცნიერების მონაპოვარნი?

საქართველოში არსებობს სახალხო გვარდია და ის არის კანონმდებელიც, მოსამართლეც და აღმასრულებელი ძალაც.

მის წინაშე გახსნილია ყველა კარები და თავისუფალია კანონის ყოველივე ზღუდესაგან!

თუ გვარდიის მაღალი თანამდებობის პირნი, თვით ასამართლებენ დამნაშავეთ და ერევიან სახელმწიფოს ყველა საქმეებში, მაშინ რა დააშავა რომელიმე ონის სახალხო გვარდიელმა?

მასაც ხომ სურს გამოიყენოს თავისი მდგომარეობა!

პატარა პროვინციულ ქალაქს რა უნდა მოეთხოვოს, როდესაც დედა ქალაქში ვერ დამყარებულა კანონიერება და წესრიგი.

აი რას სწერს ქ. თბილისის მილიციის უფროსი, 2 ივლისის ბრძანებაში:

„როგორც გავიგე, ზოგი კომისარი, უფროს და უმცროს მილიციონერებს უკანონოთ ანიჭებს ფართო უფლებებს, სახელდობრ ბოროტმოქმედებათა დაჭერაში და დაჭერილებთან მოპყრობაში. მილიციონერები თავის ნებით იჭერენ დამნაშავებს და ანთავისუფლებენ მათ.“

ბ. მილიციის უფროს ეს ამბავი მხოლოდ ეხლა გაუგია, მაგრამ საქართველოს მოქალაქემ იგი დიდიხანია იცის და იმედიც დაჰკარგა, რომ ბ-ნი უფროსი ამ ამბავს როდისმე გაიგებდა. თუ დედა-ქალაქში ასეთი წესებია დამყარებული და თვით მილიციის უფროსიც ვეღარ სცნობს შესაძლებლად დამალოს თავისი ხელ ქვეითების თვითნებობა, რომ ასე აშკარათ აღიარებს მათს საქციელს თავის ოფიციალურ და საჯარო განკარგულებებში, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იმყოფება პროვინცია, რომელსაც არც ძალა და არც საშუალება არა აქვს ქვეყანას ამცნოს ადმინისტრაციის თვითნებობა.

და რომ გამომჟღავნდეს ყველა ის საშინელებანი, რომელიც ამ დაწესებულების კულისებში ხდება, რა გარანტია არსებობს, დამნაშავეთა დასჯისათვის, ან რა გარანტია აქვს მოქალაქეს, რომ თვით არ იქნება დასჯილი უკმაყოფილო ადმინისტრატორთაგან.

ვისგან შესდგება ეს ადმინისტრაცია?

მართველ პარტიას არა ერთხელ განუცხადებია, რომ თუ სახელმწიფო მართვა-გამგეობისათვის პასუხისგება უკისრნია, ეს მართველობაც ისეთ ხალხს უნდა ჩააბაროს, რომელსაც თვით ენდობა.

ხოლო ვის „ენდობა“ იგი?

მხოლოდ თავის „პარტიის ხალხს“, რომლითაც განსაკუთრებით ავსილია ჩვენი ადმინისტრაცია.

და ეს „პარტიის ხალხი“ სრულებით უპასუხისმგებლოთ გრძნობს თავს, რადგან საკუთარი მართველი პარტიისაგან გამაგრებული ზურგი აცილებს მათ შიშს კანონისა და სასამართლოს წინაშე.

რომ ჩვენი სიტყვები უსაბუთო არ არის, საკმაოა მოვიყვანოთ, თუნდაც გუშინდელ „ერთობის“ მეთაურიდან შემდეგი ამონაწერი:

„დროა გაიხსენონ ჩვენმა ამხანაგებმა, რომ დემოკრატიულ თვითმმართველობის საქმეში ჩარევა, კომისრების დაყენება-გადმოყენება, იარაღის ჩამორთმევა-მიცემა და სხვა ასეთი ადმინისტრატიული ფუნქციების ხელში აღება, არ არის პარტიული მუშაობა“.

არ არის პარტიული მუშაობა.

როგორ ადვილად სწყვეტს საკითხს გაზეთი „ერთობა“.

არამც თუ პარტიული მუშაობა არ არის ის, რაც ხსენებულ გაზეთის ამონაწერშია მოყვანილი, არამედ პირდაპირ ხელის შემშლელია სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის და ვიდრე ეს „პარტიული მუშაობა“ სავსებით აღმოფხვრილი არ იქნება დამყარებულ წეს-წყობილებიდგან, ზედმეტია ლაპარაკი ან ადმინისტრაციის გაჯანსაღებაზედ, ან წესიერების დამყარებაზედ.

თუ მართველ პარტიას, მართლა სურს უკანონობის და თვითნებობის მოსპობა, სახელმწიფოში კანონისა და სამართლის დასამყარებლად, მაშინ მარტო „სურვილებით“ კი არ უნდა დაკმაყოფილდეს იგი, არამედ მიიღოს სასტიკი და მკაცრი ზომები თავის „პარტიულ ამხანაგების“ სახელმწიფო საქმეებში ჩარევისაგან ასალაგმავად.

## მენშევიკების „ნაციონალიზაცია“

„ერთობა“-ს ბოლო დროს შეეჩვია ერთი თანამშრომელი, რომელიც მორჩილათ აწერს ხელს: განი.

„ერთობის“ უსახო ანონიმებში ბ. განმა შეიტანა ერთგვარი „სხვანაირობა“; მისი წერილები მეთაურების შემდეგ იბეჭდება და ყოველთვის „გაკვრით“-ის ხასიათი აქვს, მაგარამ საგიეროთ რას გინდათ რომ განმა არ გაჰკრას!..

ერთ ასეთ „გაკვრაში“ ბ. განმა ერთმანეთში აურია შექსპირი და გოგოლი.

გოგოლის „შეშლილის წერილები“ შექსპირს მიაწერა და ესპანიის მეფეთ ბოლშევიკები გამოიყვანა.

არც ამ მარცხის შემდეგ ანებებს, განი თავის ახირებას.

ის ყველას ექომაგება, ყველას ბრალდებას ხსნის და ხანდისხან თვითონ კისრულობს მბრალდებლის როლს.

ამას წინად განი გამოეკამათა „კლდეს“ და თავგამოდებით იცავდა ბ. ტიმოფეევს, როგორც რუსის მოხელეს.

აქ ორმაგი ბუხგალტერია იყო: მიწათმოქმედების უწყების გულის მოგება და ნაციონალიზაციის წინააღმდეგ პროვოკაცია.

ბ. განის მიერ ტიმოფეევის გამოქომაგება, მხოლოდ პროლოგი გამოდგა.

გუშინდელ „ერთობა“-ში განი მორიგ „გაკვრაში“ უფრო ვრცლათ შეეხო საკითხს და შემდეგ სტრიქონებამდი მივიდა:

„ნაციონალიზაცია თავის თავად გამომდინარეობდა შექმნილი პირობებიდან და მისი ცხოვრებაში გატარებაც ენერგიულად უნდა მომხდარიყო. მაგრამ აქ იყო საჭირო ერთგვარი სიფრთხილე და ტაქტი, რომ ეს ძირითადი ცვლილება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გატარებულიყო და სრულიად აუცილებელი ზომა აბსურდამდე არ მიგვეყვანა.

სამწუხაროდ აქა-იქ ამ ნიადაგზე მრავალ კურიოზებს აქვს ადგილი. ყოფილმა გზათა სამინისტრომ მაგალითად საქმის წარმოებასთან ერთად მოახდინა წარწერების გაქართულებაც და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. ყველა სადგურებს, საპირისფარეშოებს რუსული წარწერის მაგიერ ქართული გაუკეთა. სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი რკინის გზა სატრანზიტო გზაა, მრავალი ქართულის არა მცოდნე მოგზაურობს და ენის უცოდინარობით უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან და ეს მაშინ როცა არავითარი სახელმწიფოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, რომ მგზავრმა არ იცოდეს რომელ სადგურზეა, ანდა მამაკაცის საპირფარეშოს ნაცვლათ ქალების საპირფარეშოში შევიდეს.

ასეთივე ტენდენციით გაიმსჭვალა თბილისის ქალაქის თვითმართველობაც. ის შლის ქუჩების რუსულ წარწერებს და აწერს სახელებს ქართულად. შეუცვალა ქართულად სამარშრუტო წარწერა ტრამვაის და მით მგზავრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

პოლიტიკური ტაქტი გვიკარნახებს ასეთი წვრილმანებით კიდევ უფრო არ გავამძიმოთ ჩვენს გარშემო შექმნილი ატმოსფერა“.

საკითხავია: ბ. განს, როგორ ჰგონია, გერმანიაში და საფრანგეთში ან ფინლიაიდიაში წარწერები რატომ არიან მხოლოდ სახელმწიფო ენაზე?

ბ. განისთანა ტურისტებმა ალბათ ნაკლებდ იციან უცხო ენები, მაგრამ ამას არავისთვის არ მიუცია საშუალება წარწერები ათასს ენაზე წაეწერათ.

ინდუსებს და ინგლისელებს, ან იტალიელებს სულერთია რუსული და ქართული ერთნაირათ არ ესმით. სხვა რომელ უცხოელებზე არის ლაპარაკი—რომელთაც ქართული არ იციან.

ყოველი რუსი ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქე მოვალეა შეეჩვიოს ჩვენს ენას და ჩვენს ჩვეულებას.

ამას რასაკვირველია რუსები ანგარიშს გაუწევენ, რომ ბ. განისთანა არამკითხე დალალები არ ამცირებდენ ეროვნულ ღირსების გრძნობას და მოითხოვდენ თავიანთ ერის და ენის პატივისცემას.

მაგრამ მენშევიკებს ეინ მოსთხოვს ეროვნულ ღირსების შეგნებას!..

მათი ფლიუგერი დაუდეგარია და მხოლოდ გამორჩენასა და კარიერისკენ არის მომართული.

ამიტომ, სანამ „ერთობა“ თავის ბრძენ თანამშრომლის წერილს დაბეჭდავდეს, სადაც ამდენი ლაპარაკია „ტაქტზე“—კარგია თავის თავს დაეკითხებოდეს რა „ტაქტი“ მოითხოვს ვადაგვარებას და უცხოს წინაშე თავის დამცირებას.

ამას უძახიან მენშევიკები „ნაციონალიზაციას“.

## სომხეთი
### სურათები სომხეთის ცხოვრებიდან

გაზეთი „ჟოღოვორდი ძაინ“ (სომეხ. „სახალხო პარტიის“ ორგანო), თავის 144 №-ს მეთაურში ახასიათებს „დაშნაკცაკანთა“ დღევანდელი მთავრობის მდგომარეობას და სხვათაშორის სწერს:

„ჩვენი პარტიის მინისტრების გამოსვლა სომხეთის მთავრობის შემადგენლობიდან ბევრმა ჩვენი პარტიის თვითმკვლელობად ჩასთვალა, მაგრამ დაე, ეხლა შეხედონ, თუ რა ხდება სომხეთის „ერთფეროვან“ დაშნაკლების მთავრობაში.

ვიდრე ჩვენ მთავრობაში ვმუშაობდით, ავად თუ კარგად, მაინც ვიცავდით მთავრობას დამღუპველ ნაბიჯებისაგან, თუნდაც ეგ ძალიან მძიმე როდი იყო ჩვენთვის, ჩვენი პარტიის წარმატებისთვის. ჩვენის შეოხებით „დაშნაკცაკანების“ მთავრობა არა ერთხელ გამოსულა „მძიმე მდგომარეობიდან“ და თავი დაღუპვისაგან გადურჩენია.

დღეს როდესაც სხვადასხვა მოვლენებისა დ პოლიტიკურ განწყობილებათა შეცვლის გამო ჩვენ გამოვედით ამ უკანონო მთავრობიდან და ჩვენ აღარ ვიღებთ მონაწილეობას მის მოქმედებებში და „პოლიტიკაში“, დაშნაკცუთუნის წინ გახსნილია თავისუფალი, აღვირაშვებული თავხედურ მოქმედების ასპარეზი, და ამიტომაც შეჰქმნილი მის გარშემო საშინელი კატასტროფიული და გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელიც მას დაღუპვისკენ წაიყვანს, უკეთუ ადრევე არ შესდგება სომხეთის კანონიერი მთავრობა.

დაშნაკელები მარტო დარჩენილან მთავრობაში, და როგორც ჩვენი ხალამბობს, დაუწყიათ ერთმანეთის „ხორცის ჭამა“. ხორენი („სომხეთის აშხატავორის“ რედაქტორი) აბრალებს მინისტრებს ს. შინასიანს და ს. თოროსიანს სიყალბეს და სხვა და სხვა სასირცხვილო საქმეებში მონაწილეობას, ემუქრება ფაქტების მოყვანით, მოითხოვს საქმე სამართალს გადაეცეს; ხატისოვი არ იღებს მინისტრების თანამდებობიდან გადადგომის თხოვნას, მაგრამ მინისტრები მაინც მიდიან. ხორენსაც დაუტოვებია რედაქტორობა. მათი საქმე სასამართლოში გადასულა. მდგომარეობა დღითი დღე რთულდება და ძალთა დაქსაქსვა თანდათან ღრმავდება.

ეს ჯერ „ყვავილებია“ „ნაყოფი“ მერე იქნება. მოვითმინოთ კიდევ რამოდენიმე დღე ან კვირა და სურათი სრულათ გამოჩნდება („შეერთებულ“ სომხეთის „პარლამენტიც“ ესევე „ერთფეროვანი“ იქნება შედგენილი, თითქმის, მარტო დაშნაკელებისაგან უნდა მოველოდეთ, რომ განხეთქილება დაშნაკელებში უფრო გაღრმავდება, რადგან ამ პარტიის „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ფრთები საგრძნობელი მანძილით შორდებიან ერთმანეთს.

## ჰერნი დე შამპონი მცირე ერების შესახებ.

ფრანგი მწერალი ჰერნი დე-შამპონი ჟურნ. „რევუ პარლატენტ“-ში უძღვნის წერილს „გამოღვიძებულ ერებს“, რომელშიაც სხვათა შორის სწერს.

„მეფის რუსეთი მოკვდა; ჩაგრული ერები იღვიძებენ. ფინეთი, ესტონეთი, ლიტვა, პოლონეთი ბელორუსია, უკრიანა, საქართველო, სომხეთი და სხვანი თხოულობენ დამოუკიდებლობას.

ჩვენ მხოლოდ ძალაუნებური მაყურებელი ვხდებით ახალი ქვეყნისა და არც ერთ ჩვენგანს თავში არ მოსდის გამოარკვიოს მიზეზები და შედეგები. ასეთი ისტორიულ გადატრიალებისა ოფიციალურ დიპლომატს, თვალები დაუხუჭავს და სთვლემს, თითქოს ამის არ სურდეს სინამდვილის დანახვა. ყვითელი პრესა ბრძანებლობით მოქმედობს, მას ამოძრავებს რაღაც უხილავი ძალები.“ ეხება რა რუსეთს ჰერნი დე-შამპონი სწერს: „მოკავშირეთა ხელმძღვანელნი ებრძვიან სარევოლიუციო მოძრაობას,“ და არ ესმით რომ ასეთ სარევოლიუციო მოძრაობის მიზეზები არის ეროვნული და მიწის საკითხები, რასაკვირველია გერმანელებთან ომში გართულნი რუსეთს ყურადღებას არ ვაქცევდით, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ ხელები მოგვეხსნა, განა უკეთესი არ არის ხელი შეუწყოთ მოქალაქობრივ და სოციალურ თავისუფლების განმტკიცებას ვიდრე მკაცრი დესპოტიური რეჟიმის მომხრეების მოქმედებას?. აქებენ ადმირალ კოლჩაკის ან დენიკინის სიმამაცეს, აქეზებენ საზონოვის ან იზვოლკის მოქმედებას და ანგარიშს არ უწევენ ქართველებს, ესტონელების და რუსინების მოთხოვნილებას და არ ამჩნევენ, რომ თუ ჩვენ

# უკანასკნელი ცნობები

ინგლისური პრესის ცნობით გრიგორიევმა ოდესა აიღო.

ვილსონი, ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო შეთანხმდენ, რომ ვილჰელმის გასამართლება ლონდონში მოხდეს.

ნორვეგიელებმა მოითხოვეს, რომ გერმანიამ აუნაზღაუროს მათ ომის დროს მიყენებული ზარალი.

ოსმალეთს მცირე აზიაში 40.000 ჯარის კაცი მძიმე არტილერიით შეიარაღებული დაუმზადებია.

ტიროლმა თავი გერმანულ ავსტრიასთან შეერთებულად გამოაცხადა.

ესტონლებმა კუნძული ეზელი დაიჭირეს.

---

არ მივაქცევთ ყურადღებას მათ მოთხოვნილებებს, მაშინ ჩვენ სურვილის წინააღმდეგ ისინი გამოსჭედენ ერთა ჯაჭვს შავი ზღვიდან ვიდრე კასპის ზღვამდე და დასავლეთის შორის კედელს.

საზავო კონფერენციის კარები ძლივს იღება მცირე ერთა დელეგატებისათვის, რომელნიც 60 მილიონს შეადგენენ და ამავე დროს სათათბირო ხმით სარგებლობენ ისეთი მინიატურული თვითმართველობანი როგორიც ლიბერია და გონდურასა არის. მეტად ცუდი წარმოდგენა არის ფრანგული და საერთაშორისო ინტერესებისა!..

შემდეგ დე-შამპონი ერთა თვით გამორკვევის საკითხზე რომ გადადის ამბობს, რომ ვილსონის პროექტი ბოლო ხანებში იმპერიალიზმს შეუერთდა: ყველას სურს რაღაცა მიიღოს და თვით კი არაფერი დასთმოს, ამას კი იქით მივყევართ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ევროპაში ხელახლად შეილახება მშვიდობიანობის და წესრიგის საფუძვლები.

## ალ. სარაჯიშვილის მკვლელთა დასჯა

თიბათვის 5-ს ალექსანდრე სარაჯიშვილის მკვლელების საქმის გამოსაძიებლად ბაკურციხეში გაემგზავრა საგანგებო სასამართლოს სესია ი. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. სასამართლოს წევრებად იყვნენ შ. დადიანი და ა. კარასოვი. 9 ბრალდებულში 6 გურჯაანელი, 1 კოლაგელი და 2 ბაკურციხელი მცხოვრები იყო.

ბრალდებულებს იცავდნენ სახაზინო ვექილი გ. დაფქვიაშვილი და კერძო ვექილი მ. ნემსაძე.

ბრალსა სდებდა მ. კანდელაკი.

საქმის გარჩევაში გამოირკვა, რომ მკვლელობაში მონაწილეობა მიუღია ალ. სარაჯიშვილის მებაღეს და სხვათ, რომელნიც ადგილობრივ ცნობილი იყვნენ ქურდ-ყაჩაღებად.

სასამართლომ ცხრავე დახვრეტით სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ამ გადაწყვეტილებამ ხალხი მეტად აღაფრთოვანა და დაარწმუნა რომ „სასამართლო ყაჩაღებს დაუსჯელად არა სტოვებს“.

# ქრონიკა

→ **გამომძიებელ მოსამართლის დაპატიმრება.** ონიდან გვატყობინებენ, რომ იქ სახალხო გვარდიელებმა შეიპყრეს გამომძიებელი მოსამართლე ჯაფარიძე. საქმის გარემოება ასეთი იყო: სახალხო გვარდიელებმა მასთან წარადგინეს ვინმე ბრალდებული. ჯაფარიძემ განიხილა რა მისი ბრალდება და ვერ იპოვა საბუთი მის დასაპატიმრებლად ბრალდებული განთავისუფლა მაშინ სახალხო გვარდიელებმა შეიპყრეს თვით გამომძიებელი მოსამართლე ჯაფარიძე და მისგან განთავისუფლებული ბრალდებულიც.

→ **ქალაქთა საზღვრების გამორკვევისათვის.** ქალაქ სენაკის საზღვრების გამოსარკვევათ შემდგარ კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმომადგენლად დანიშნა სენაკის მაზრის კომისარი.

ქალაქ ოზურგეთის საზღვრების გამოსარკვევად შემდგარ კომისიაში დაინიშნა ოზურგეთის მაზრის კომისარი.

→ **პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები.** იასონ გაბილაის მიერ ნათარგმნი პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის შარლ ჟიდის პოლ. ეკონ. საფუძვლების ბეჭდვა უკვე დაამთავრა ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციამ და მთელი წიგნი ამ 2—3 დღეში გამოვა. წიგნის მაღაზიებს და კოოპერატივებს მისი დაკვეთა შეუძლიათ ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციიდან (ქუთაისიდან) და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისგან (თბილისიდან).

## კრებები

→ **აკობიას მოხსენება.** კვირას, 13 ივლისს დილით 11 საათზე ქართულ კლუბში პავლე აკობია წაიკითხავს რუსულათ თავის წინასწარმეტყველურ პროგნოზს თანამედროვე დიადი გარდამავალი ხანის შესახებ.

— პ. ა. სთხოვს ყველას, ვისაც აინტერესებს სასიცოცხლო საკითხები მოუსმინონ მას.

## ერობაში.

→ **წლიური ხარჯთაღრიცხვა.** თბილისის სამაზრო ერობის მესამე ყრილობამ სამაზ. ერობის წლიური ხარჯთაღრიცხვა (23,500,000 მ.) განიხილა და დაამტკიცა.

→ **ჯამაგირები მოსამსახურეთათვის.** თბილისის სამაზრო ერობის მე-3მე ყრილობამ მოსამსახურენი ჯამაგირებით დაჯილდოების და მიხედვით 8 კატეგორიათ დაყო. მათ ჯამაგირები მიეცემათ 600—1900 მან. სახალხო მასწავლებლებს მიეცემათ 1000 მან.

→ **საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.** თბილისის სამაზრო ერობის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ა. ჭიაბრიშვილის მაგივრად აირჩიეს გ. კანდელაკი.

→ **სასწავლებლის დაარსებისათვის.** თბილისის ერობის გამგეობას განზრახული აქვს თბილისის მაზრაში გახსნას 3 პირველდაწყებითი სასწავლებელი და 10 დაბალი სასწავლებელი. დაადგინეს აგრეთვე სოფლებში გახსნან საფეიქრო სკოლები.

## შრომის სამინისტროში

→ **გაფიცვა საავტომობილო სახელოსნოში.** ამ თვის პირველ რიცხვიდან საავტომობილო მთავარსახელოსნოში ჯამაგირების მიუღებლობის გამო მუშები გაიფიცნენ. შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა სატრანსპორტო საზოგადოებას ზომები მიიღონ რათა მუშები საჩქართ დაკმაყოფილებულ იქმნენ ჯამაგირებით.

→ **სატრანსპორტო საქმის მოსაწყობათ.** გუშინ გზათა მინისტრი ბ-ნი ხომერიკი, შრომის მინისტრი ბ ერაძე გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე ფოთს გაემგზავრნენ სატრანსპორტო საქმისა და პორტის მუშების სამუშაო ხელფასის საკითხის მოსაწესრიგებლად.

→ **შრომის სასამართლოს დაარსებისათვის.** შრომის სამინისტრომ დაადგინა მომრიგებელი კამერა შრომის სასამართლოდ გადააქციოს. ამისათვის მან სთხოვა იუსტიციის სამინისტროს გამოუგზავნოს სათანადო მომზადებული პირი რომელიც დახმარებას გაუწევს მათ ამ საქმეში.

→ **სალახთა დადგენილება.** ქალაქის სასაკლაოს სალახთა უკანასკნელმა კრებამ დაადგინა, რათა მიეცეთ მათ მსხვილ-ფეხა საქონლის დაკვლისათვის 40 მ. ხოლო წვრილ-ფეხა საქონლის დაკვლისათვის კი 5 მან. მათი დადგენილება საბოლოვო დასკვნისათვის სატარიფო პალატას გადაეცა

## სომეხთა ცხოვრება

→ **სომხების დელეგატები.** ამიერკავკასიის განახლებულ კონფერენციაზე დასასწრებლად სომხეთის მთავრობამ დანიშნა: ს. არარატიან, ს. მამიკონიან და ნ. აღბალიანი.

→ **ობლების გადაყვანა.** ამერიკელთა ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა მიიღო 2,000 ობოლი, რომელთაც სომხეთში გადიყვანს.

→ **ლტოლვილები მე-300 ვერსზე** ამ ჟამად თბილისიდან მე-300 ვერსზე სულ 4500 სომეხი ლტოლვილი იმყოფება.

→ **ლტოლვილთა ასაცრელად.** სომეხთა ლტოლვილების დამხმარე კომიტეტმა მიიღო ამერიკელთა კომიტეტისაგან ხოლერის ასაცრელად ჩირქი.

## ბოროტ-მოქმედებანი.

→ **ფულის მოტაცება.** 8 ივლისს დილით სომხის ბაზარში მიმავალს კარაპეტიანცის ქალს დახვდა ერთი ბოროტ-გამზრახველი სიკვდილის მუქარით მოსტაცა 1500 მანეთი და მიიმალა.

→ **ქურდობა.** 8 ივლისს ანჩისხატის შესახვევში გაბრიელოვის ბინიდან ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 4000 მან სხ. და სხ. ნივთები ეჭვით დააპატიმრეს მუხარაძის ქალი.

# პროვინციის ცხოვრება

## ქ. ქუთაისი

კვირას 13 ივლისს დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ქალაქის სამმართველოს დარბაზში დანიშნულია ქართული ტეხნიკური საზოგადოების განყოფილების საზოგადო კრება. მოხსენებას წაიკითხავენ შემდეგ თემაზე:

1) ინჟინერი გრიგოლ აბაშიძე „ქალაქის სანიტარია და ნაგვის საწვავი ღვიმელი“: 2) ინჟინერი იოსებ ბეთანოვი „ბინის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში“ 3) ტეხნიკოსი ივანე მარდალეიშვილი „ქუთაისი-ხონის რკინის გზა“ 4) ინჟინერი ანტონ ჯაფარიძე „ინჟენერ-ტეხნიკოსთა პროფესიონალური კავშირი და მისი წესდება“ 5) ტეხნიკოსი ლევან მიქელაძე „გზათა ტეხნიკოსების მომზადება“ და 6) მიმდინარე საკითხები. დასწრება წევრთათვის აუცილებელია გარეშე პირთ შეუძლიან დაესწრონ პირველ სამ მოხსენებებს.

— ქურდობა და ავაზაკობა სისტემატიურ ხასიათს ღებულობს· ეს ერთი ხანია რაც დრო გამოშვებით ძარცვავენ შიმშონ იაკობიშვილის სავაჭროს. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 100.000 მანეთამდის. ამ ქურდობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და ბოლოს კვალსაც მიაგნო. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა რუსთა გიმნაზიის დირექტორი სოკოლოვი, ოსმან კოპალაძე, მ. ჩიკვაიძე, არ. იაკობიშვილი და ვიღაცა რიჟინაშვილი. გაჩხრეკისას მათ ნაპარავი საქონელი აღმოაჩნდათ. დაპატიმრებულნი საგუბერნიო ციხეში გაიგზავნენ. ჩვენ არ გვაკვირვებს უკანასკნელი ოთხის პროფესია, მაგრამ გვაოცებს რუსთა გიმნაზიას დირექტორმა სოკოლოვმა, რათ აირჩია თავის პროფესიათ ქურდობა.

— ზეკარის სამხედრო გზატკეცილების მეორე უბნის ოსტატი ლაღიძე ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს: გუშინ ღამით თავს დამესხა ყაჩაღები. მათ სროლით დროზე ვუპასუხე, რომელნიც გაიქცნენ საჭიროა იარაღი. ამასთანავე აცნობეთ ბაღდადის კომისარს, მიიღოს ზომები ავაზაკთა შესაპყრობლად.

— თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობისა ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე ს. გიგელაშვილი თბილისს გაემგზავრა. მისი მოვალეობის ასრულება დაევალა განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს ა. შენგელიას.

— ქუთ. საგუბერნიო ციხის უფროსი იაშვილი თანახმად მისი თხოვნისა სამსახურიდან ერთი თვით დათხოვნილი იქნა. ციხის უფროსის მოვალეობა დროებით დაეკისრა მის თანაშემწეს ასათიანს.

— ქუთაისის სამხატვრო საზოგადოების საბჭომ მოაწყო სამხატვრო სტუდია. სტუდია მოთავსებულია რეალურ სასწავლების დარბაზში. მუშაობა სწარმოებს დილის 8—2. საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე.

— ბათომში ამ მოკლე ხანში ფინანსთა სამინისტროს მეთაურობით დაარსდება საგანგებო ფინანსიური აგენტურა. ეს აგენტურა ხელს შეუწყობს უცხო სახელმწიფოებთან საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმეს.

— მთავრობის დადგენილების თანახმად წასულ წელში კოოპერატივებისა და კერძო ვაჭრების მიერ შეძენილი აბრეშუმის პარკი უნდა შეიკრიბოს აგრეთვე ქუთაისის ხაზინიდან უნდა გაიცეს ბეები, რომ ახალი პარკიც იქნეს შეძენილი. ამ საქმის მთავარ რწმუნებულად დაინიშნა ქუთაისის საბრეშუმო სადგურის გამგე ი. ქუთათელაძე.

— ქართული ლატარიის სასარგებლოდ ჩამოსულმა კომისიამ ქუთაისში უკვე აჩვენა საზოგადოებას „ცინტებზე“ გადაღებული სურათები „გვარდიის დღე“ „26 მაისის დღესასწაული“ „დამფუძნებელი კრების გახსნა“ და „ქრისტინე“. სეანსებს საზოგადოება ბლომად დაესწრო. შემოსავალი უდრის 25.000 მანეთს· კომისია ქუთაისიდან პროვინციებში გაემგზავრა. პირველად ეწვევიან ქ. ოზურგეთს.

## ქ. გორი.

ახლო სოფელში ქერი კიდეც გაიჭრა; გამოსავალი ძალიან კარგია: ხალხი კმაყოფილია.

— სიძვირე დღითი დღე მატულობს და მოქალაქეთა გაჭირვებას საზღვარი არ აქვს.

— ქ. თვითმართველობამ მტკვრის პირას ხიდის ყურთან ერისთავისაგან შეიძინა შენობა, რომელშიაც ჰსურს მოაწყოს სცენა წარმოდგენებისათვის და ლექციებისთვის.

## ქ. ფოთი.

თიბათვის 28 ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ბიუროში წაკითხულ იქნა ორი საჯარო ლექცია. მოწაფე ალექსანდრე და ბიქტორ გაესკირების მიერ შემდეგ თემაზე „ქართული ერის ტრაღედია სე XX საუკუნემდე. და „საქართველოს დღევანდელი სახე“ ლექციას ხალხი საკმაოთ დაესწრო.

ლექციის დასაწყისში პარტიული საზოგადოებას ა. გაბესკირიამ გააცნო მოქმედება ჩვენი პარტიისა და გაზასმით აღნიშნა დასავლეთ საქართველოსათვის აუცილებლობა და მნიშვნელობა გაზეთ „ჩვენი ქვეყნისა“. რაზედაც პარტიის წევრებმა დაადგინეს: გაზეთს გაუწიოს ფინანსიური დახმარება შეძლების დაგვარად.

## არტაანი

„კავკაზსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი არტაანიდან იტყობინება, რომ არტაანის ოლქში ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ყაჩაღთა ბრბოები, რომლებიც ჩეტნიკებისაგან და შეაშლ ჯარებისაგან შესდგება.

— ესენი მოსვენებას არ აძლევენ ადგილობრივ სომხურ ადმინისტრაციას. მაჰმადიანები მაინცა და მაინც იმედიანად არ უყურებს მათ თარეშს.

— ბოლო ხანებში არტაანის ქრისტიანები მეტად დაზარალებულნი არიან.

— აქაურ ოლქის უფროსმა მიიღო საჭირო ცნობები და ორი მნიშვნელოვანი ბრბო მისპო.

# სომხეთში

**სურსათი სომხეთისთვის.**

ამ დღეებში სომხეთმა მიიღო 20,000, ფუთი ბრინ. და 479 ფუთი ჩაი.

**საპარლამენტო არჩევნები.**

დელიჟენის ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 21,042 სულს. დაშნაკელებს მიუღიათ 16,476 ხმა, ესერებს—3389, გლეხთა კავშირს—175, თათრებს—2.

**მთავრობის წარმომადგენლობა.**

მამიიანი დაინიშნა დიპლომატიურ წარმომადგენლათ ციმბირის მთავრობასთან. სომეხ-ქართველთა კონფერენციის დეპუტატებათ დანიშნული არიან ალბაიანი, არარატიანი და მამიკონიანი.

**ბრძოლა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.**

მოხელეთა ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო სასამართლო, კანონპროექტის შემუშავება მიენიჭა სამინისტროს.

# აზერბაიჯანი

**საფრანგეთის წარმომადგენლის წასვლა ბაქოდან.**

საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელი ბაქოში პოლკ. ოსბერგი დროებით მიდის პარიზს. მისი მოადგილე ჯერ დანიშნული არ არის.

**ბინის საკითხი აქსტაფაში.**

საქართველოს რკინის გზის აგენტები აქსტაფიდან იტყობინებიან, რომ ვაგონები, რომელიც მათ საცხოვრებლად დაეთმოთ, სრულებით მოუხერხებელია საცხოვრებლად. საქმის გამოსარკვევად 7 მკათათვეს თბილისიდან გამოვიდა კომისია, რომელიც უფროს აგენტებისაგან შესდგება. საქართველოს გზათა სამმართ. სთხოვა აზერბ. გზათა სამმართველოს, რომ თავისი აგენტებიც დაასწროს გამოძიებას.

**ბაქოს ნავთის შესახებ.**

გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებული ცნობა აზერბაიჯანისა და ამერიკის ფირმის „სტანდარტ ოილის“ შორის ხელშეკრულების დადების, ეხლა დამატებით ცნობებით შეგვიძლია შევავსოთ. ეს შეთანხმება სწორედ მის ხელის მოწერის დღეს ჩაიშალა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ნავთის ვაჭრობაში ჩაერია მეორე ფირმა „შელია“, რომელიც გაცილებით ხელსაყრელ პირობებში გაურიგდა აზერბაიჯანის მთავრობას. მეორეს მხრით ადგილობრივ ნავთის მწარმოებელთავის მიუღებელი იყო ერთი წლით ასეთი მტკიცე ფასის (34 დოლარის) მიღება. გარდა ამისა ახალი ხელშეკრულებით ანალიზი ნავთისა უნდა ბაქოში მოხდეს. იმ დროს, როდესაც „სტანდარტ ოილი კომპანია“ თხოულობდა ანალიზს ბათუმში.

ორივე მხარე ვერ შეთანხმდნენ და ამერიკის სინდიკატის წარმომადგენელი შაბათს თბილისში წავიდა.

**პირდაპირ მიმოსვლის გამგე.**

საკონფერენციო ყრილობაზე პირდაპირი მიმოსვლის გამგედ აირჩიეს სულხანიშვილი, რომელიც ეხლა ბათუმში გაემგზავრა შავი-ზღვის გემთა მიმოსვლის გამოსარკვევად.

# დავით ღამბაშიძე საქართველოს საკითხის შესახებ ევროპაში

ამ დღეებში ლონდონიდან ჩამოვიდა საქართველოს დელეგაციის წევრი დავ. ღამბაშიძე, რომელიც შემდეგ ცნობებს იძლევა.

**საქართველო და საზავო კონფერენცია**

საზავო კონფერენციას ჯერ არ განუხილავს საქართველოს და საზოგადოდ ამიერ-კავკასიის საკითხი. თუმცა მოსალოდნელია რომ მას ახლო მომავალში გადასწყვეტენ. ყველაზე ყურადღებით და სიმპატიით საქართველოს ეპყრობა ინგლისი. ყველა დელეგაციასთან არის კომისიები, რომელნიც სწავლობენ სხვა და სხვა საკითხებს. ამიერ-კავკასიის და საქართველოს საკითხი ინგლისის კომისიაში სდგას, როგორც საკითხი ახლობელ აღმოსავლეთისა, იტალიას იგი ჰქონდა დასმული, როგორც რუსეთისა, მაგრამ ამ ბოლო დროს მანაც შეიცვალა აზრი და ინგლისს მიჰბაძა. იაპონიას ჩვენი საკითხი დასახელებული აქვს, როგორც დასავლეთ აზიისა. საფრანგეთს კი ისევ რუსეთის საკითხში აქვს შეტანილი.

ყველაზე დაწვრილებით და კარგად იცის ჩვენი საქმე ინგლისის დელეგაციამ და ყოველ შეკითხვაზე იგი იძლევა დაშაკმაყოფილებელ და ჭეშმარიტ პასუხს.

**ინფორმაცია საქართველოზე**

საერთოდ ჩვენს შესახებ ასეთი ცნობები აქვთ: ჩვენში, როგორც დანარჩენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე, მექრთამეობაა და ძარცვა-გლეჯა სახელმწიფო ქონებისა. ეს შედეგია ასის წლის მონობისა და რუსეთის ბატონობისა, ასევე ხდება მოხალისეთა არმიაში, რომლის აფიცრები და ჯარის კაცები ჩვენ მიერ მიტანილ ქონების და ტანისამოსს ჰყიდიან. საჭიროა ჩვენ მათ დავეხმაროთ ინსტრუქტორებით და მოვაწყობინოთ სახელმწიფო. მაგრამ ეს ინსტრუქტორები მათ თვითონ უნდა გვთხოვონ. მილნს სრულიად ისეთი მოხსენება არ გაუკეთებია, როგორც ეს გამოჩნდებოდა თუნდა გაზეთ „ტაიმსის“ წერილების მიხედვით. საერთოდ არავინ ჰფიქრობს შეერთებას საქართველოსას რუსეთთან.

**ევროპის მისიები რუსეთში.**

ერთი რამ გადაწყვეტილი აქვთ ევროპიელ სახელმწიფოებს—ბოლშევიზმის დამარცხება. ამისთვის ისინი ენდობიან მხოლოდ დენიკინს და კოლჩაკს ამის გამოცემული ერთნაირი რუკა, სადაც მთელი რუსეთი აღნიშნულია შავი ფერით. საქართველო და აზერბაიჯანი აღნიშნულია თეთრად. ოღონდ საქართველოს წითელი წინწკლები აქვს. ბაქო წითლად არის დასახული. ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ დიდ ანარქიას გამოიწვევს ამიერ კავკასიაში ბოლშევიზმის გადმოსვლა და ამიტომ ამისა ძალიან ერიდებათ.

**აგრარული საკითხი**

მილნის მოხსენებაში სხვათა შორის ნახსენები იყო აგრარული საკითხი და აღნიშნავდა, რომ მისი გადაწყვეტით ბევრია უკმაყოფილოო.

**დენიკინი საქართველოს შესახებ.**

„მოხალისეთა“ არმია და განსაკუთრებით თვით დენიკინი ამბობს: საქართველოს ხალხს რუსეთთან უნდა ცხოვრება, მიმიშვით მე და ჩვენ შევთანხმდებითო—მე იმათ ავტონომიას მივცემო. ხომ ხედავთ თქვენი უკმაყოფილონი არიან, გაზეთებში გლანძღავენო. ამ მიზნით გამოგზავნილი იყო გენერალი ბრიკსი, რომელმაც გაიგო აქაური ვითარება და დარწმუნდა, რომ საქართველოს დენიკინთან შეერთება არასოდეს აზრად არ ჰქონია და სამისო ინფორმაცია მიაწოდეს ლონდონს.

საერთოდ ყველაფერი, რაც საქართველოში ჰხდება, ძალიან დაწვრილებით იციან ლონდონში. იციან, სხვათა შორის, სოსიკო მდივნის სიტყვაც, რომელიც მან წარმოსთქვა ინგლისელთა პოლიტიკის შესახებ. ინგლისელები იქამდე არ წავლენ აქედან, ვიდრე იტალიელები არ მოვლენ. ისინი მხოლოდ იტალიელთა მოსვლას ელიან.

**საფრანგეთში**

საფრანგეთში დიდი შოვინისტური მოძრაობაა. პირველ მაისის დემონსტრაციის დროს ჯარს პატრონები არ ჰქონია, თორემ მრავალს დაჰხოცავდნენ, რადგან ჯარი მას შეჰხვდა, როგორც გერმანელების მიერ მოწყობილ დემონსტრაციას.

**ინგლისში**

ინგლისში [illegible] რეფორმები მოჰხდა. შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე, [illegible] ნაციონალიზაცია მოხდა და სხ.

**საქართველოს საკითხი ინგლისის პარლამენტში**

საქართველოს შესახებ შეკითხვა იყო ინგლისის პარლამენტში, რომელსაც პასუხი გასცა ჩერჩილმა. მან მეორე დღეს განაცხადა, სრულიად არავითარი შეტაკება არ ყოფილა ქართველთა და ინგლისის ჯარის შორის. საქართველოს დელეგაცია ჰყავს საზავო კონფერენციაზე, აგრეთვე ჰყავს დამფუძნებელი კრება, რომელმაც ერთხმად დაადასტურა აქტი დამოუკიდებლობისა. არავითარი მსგავსი იმისა, რაც ჩვენთან მტრულად განწყობილ გაზეთებში იყო დაბეჭდილი — პალატაში არ განუცხადებიათ.

**მოკავშირეები და კოალიცია.**

კოლჩაკის მთავრობა მოკავშირეებს არ უცვნიათ. პირობები შემდეგი იყო: ფინლიანდიისა და პოლონეთზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რაც შეეხება ამიერ კავკასიას, თქვენ იმათ უნდა მოელაპარაკოთ, ხოლო თუ ვერ მოურიგდებით—მაშინ საკითხი ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთო. ერთი სიტყვით ისინი საქართველოს საკითხს საერთაშორისო საკითხად სთვლიან.

სხვათა შორის, ინგლისელები აღნიშნავენ, რომ ისინი ხასიათით ვერ შეეწყვნენ ქართველებს, მაგრამ საერთოდ საქმე ცუდათ არ არისო.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ დიდი იმედია საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა.

გერმანიაში ორი მიმართულებაა რუსეთის შესახებ. რეაქციონერებს იმედი აქვთ მონარქიულ რუსეთის აღდგენისა და მასთან კავშირისა. ხოლო მემარცხენეები ბოლშევიკების გამარჯვებას ეტრფიან და მათთან კავშირი ჰსურთ.

# მთავრობის ცნობა

რადგან სამტროდ განწყობილი პირნი გაზ. „აშხატავორის“ დახურვას, იყენებენ, თავის ინტერესთათვის და საქართველოს მთავრობის მოქმედების შესახებ ცუდ ხმებს ავრცელებენ, საზოგადოების საქმესთან ნამდვილად გასაცნობად შინაგან საქმეთა სამინისტრო მოვალედ სთვლის თავს შემდეგი ნამდვილი ცნობები გამოაქვეყნოს ზემო აღნიშნულ გაზეთის დახურვის გამო: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ბეჭდვით ორგანოებს ანიჭებს თავისუფლებას მთავრობის მოქმედების კრიტიკისას, მაგრამ ნებას არ მისცემს არც ერთ გაზეთს, რომელიც ჩვენ ტერიტორიაზე გამოდის, რომ მის ფურცლებზე იყოს სამტრო წერილები მიმართული არა მარტო მთავრობის არამედ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ.

საქართველოს მთავრობამ დიდი ენერგია და შრომა გასწია კავკასიის ერთა შეთანხმებისათვის, და არ შეუძლია მოითმინოს, რომ მის საქმეს აფერხებდეს ვინმე წინდაწინვე განზრახულ აზრით, ტენდენციურ ცნობებით, რომელსაც მიზნადა აქვს ამიერკავკასიის ერთა ერთი ერთმანეთზე გადამტერება.

ასეთი მიმართულებისა იყო სწორედ „აშხატორი“-ც.

სტატიაში, სათაურით „მენშევიკური ცარიზმი“ „აშხატავორი“ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს „სოციალ-მოღალატეებს“ უწოდებს, ხოლო მთავრობის პოლიტიკას „აზიურ“ პოლიტიკას, და ამის დასამტკიცებლად ასახელებს „მშრომელ იეზიდები“-ს თბილისიდან „მე-300 ვერსზე“ გადასახლებას. მე 300-ე ვერსზე ჩვენ გადავასახლეთ, თბილისში ავადმყოფობის გავრცელების თავიდგან ასაცილებლად ყველა ეროვნების ლტოლვილი, რომელსაც თავის შრომით ცხოვრება შეეძლო.

მაისის 15-ის № 95-ში. ეს გაზეთი მეთაურში აცხადებს.

„საქართველოს მთავრობის ორგანოების უმოქმედობითა და უდონობით ახალციხის ლტოლვილთაგან 50 პროც. დაიღუპაო“. „არსებობდა ახალქალაქში საქართველოს უფლება და იგი თითქოს თავის აქ ყოფნას დროებით მოვლენად სთვლიდა, ეწეოდა ტაციობის პოლიტიკას; მან ხელში წაართვა ადგილობრივ გლეხებს და გადასცეს ხელში შოვინისტებს, მძარცველებს, რომელთა მთავარ მიზანს ის შეადგენს რომ როგორმე მეტი შეურაცყოფა მიაყენონ ისედაც შეწუხებულ ლტოლვილებს. ოფიციალურ მძარცველებს ზედ ემატება არა ოფიციალი მძარცველობა და ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ გლეხობას საშუალებაც არ ეძლევა რომ პროტეს-

ტი განაცხადოს". „საქართველოს მთავრობა არ იღებს არავითარ ზომებს ამის საწინააღმდეგოდ პირიქით ხელს უწყობს მის განვითარებას".

სამინისტროს არ შეუძლია, რომ ამ წერილის სრული სიცრუე არ აღნიშნოს.

ახალქალაქის მაზრაში წესიერების დასადგენად მთავრობამ წარგზავნა დავალებებით აღჭურვილი პირნი, რომელიც როდესაც კი აღმოაჩენდნენ რაიმე ბოროტმოქმედებას ძირშივე აღმოფხვრიდნენ ხოლმე.

ადმინისტრაციის მსახურნი, რომელთაც შეემჩნეოდა უწესო მოქმედება, მაშინვე გადაყენებული იქნებოდნენ და აეკრძალებოდათ ხოლმე მაზრაში ცხოვრება.

ლტოლვილებს განურჩევლად ეროვნებისა, მზრუნველობას შეძლების დაგვარად არ ვაკლებდით და დღემდე ახალქალაქის ლტოლვილთაგან არც ერთხელ ჩივილი არ შემოსულა, თუმც ამის საშუალება მათ ჰქონდათ.

თიბათვის 3-ს № 108-ში „აზხატავორ"-ი უხეშ ფორმით ამტყუნებს მთავრობას, ვითომც ჩვენ ბორჩალოს მაზრაში სომეხ-ქართველთა კონფლიქტში, სომხეთა ეროვნული საბჭო მოგვეტყუებინოს. და მთავრობის მოქმედებას უფარდებს რუსეთის მინისტრ შჩეგლოვიტოვის მოქმედებას, რომელმაც გამომძიებელი ლიჟონი აღჭურვა სომეხთა დევნის უფლებით.

ამავე წერილში ნათქვამია, რომ შულავრიდან თბილისში ჩამოყვანილი ზარგარიანი და არუთუნიანი გაუშვეს თავდებით „ალლახმა უწყის როგორი საფასურით"-ო. „აუცილებლად უნდა მოისპოს იგი თორემ საქმე ცუდად გათავდებაო" №№ 122 და 127 ეს გაზეთი აღნიშნავს რომ სომეხთა დევნა ადმინისტრაციის შემწეობით ხდებაო.

სამინისტრო აცხადებს, რომ არც ერთი მოქალაქე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ჰპოვებს ადმინისტრაციისაგან თავის ინტერესების დაცვას. თუ ვისიმე პიროვნება შელახული იყო ადმინისტრაციის საქციელით, მთავრობა მაშინვე იღებდა ზომებს უკანონობის მოსასპობად.

№ 130-ში გაზეთი განიხილავს რა საქართველოს აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულებას აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება სომხეთის დასაღუპად არის მიმართულიო.

ასეთი უხამსო განცხადება, ერთმანეთს აძულებს სომხების მასსას და ქართველთა და მაჰმადიანთა ხალხებს.

ასეთი, საზოგადოებრივ წესრიგის დამღუპველი მოქმედება, ეს სიტყვებში გამოჩნდება თუ გაზეთის ფურცლებზე მთავრობისათვის აუტანელია და იგი მთელი თავის ძალღონით შეებრძოლება წესისა და კანონის დამრღვევ ელემენტებს.

—

გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით „აზხატავორი"-ს რედაქციის. და კონტორას ბეჭედი მოხსნეს".

# ფოსტა-ტელეგრაფი

### სამუშაო დროის შემცირება

წინა წლების ჩვეულებისამებრ აშა მკათათვის ათიდან ფოსტის დაწესებულებაში სამუშაო დრო მცირდება ერთი საათით, ე. ი. დილის რვა საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. ეს განკარგულება არ ვრცელდება ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოზე, დაწესებულებათა კანცელარიაზე და საგარაკო ადგილებზე, როგორიც არიან ბორჯომი, კოჯორი, სურამი, აბასთუმანი, ბაკურიანი და მანგლისი.

### ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განცხადება ამანათების შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. მგელაძე აცხადებს: 9 მკათათვიდან ყოველი ამანათი პარტიობით და ისეთები, რომელთა წონაც ოცს გირვანქას აღემატება, მიეცემათ მიმღებთ პირდაპირ რკინის გზის სადგურიდან.

დროებით, ვიდრე საჭირო შენობა ექნებოდეს აგებული, ამანათების მიცემის ოპერაციათა წარმოება მოხდება ფოსტის ვაგონში, რომელიც ჩამოყენებულია ბორჯომის საგარაკო შუკაში.

მოქალაქენი, რომლებიც მიიღებენ ფოსტიდან უწყებას მათ სახელზე პარტიობით, ან ოც გირვანქაზე მეტის წონის ამანათების მიღების შესახებ, კეთილ ინებებენ და მიმართავენ საქმე დღეებში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე და უქმე დღეებში დილის 9 საათიდან ათ საათამდე რკინის გზაზე ამანათების მიმცემ მოხელეს ზემო დასახელებულ ვაგონში.

# დავიწყებული კუთხის გასაჭირი

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ჩვენი საკუთარ კორესპოდენტისა ხევიდან.

მთიულეთი და საზოგადოდ ხევი მუდამ ნაკლებად იქცევს ხოლმე ჩვენს ყურადღებას. არავითარი ურთიერთობა არავითარი კავშირი თითქმის არა გვაქვს მასთან დაჭერილი: მთა კი სწორედ დღეს საჭიროობს ჩვენგან არა თუ ძმურ სიტყვას არამედ დამხმარე მარჯვენასაც.

კორესპონდენტი გვატყობინებს რომ მთა სიმშილის მწვავე კრიზისს განიცდის სიმინდი ფუთი ადგილობრივ ხუთმეტი თუმანი ფასობს და ისიც არ იშოვება, მაშინ როცა კავკაზში ფუთს სიმინდს ჰყიდიან 25 მანეთად.

დაიწყო ხევში ემიგრაცია. იყრებიან სოფლები და მიეშურებიან ოსებსა და სხვა მთიელებთან სამუშაოდ რომ შიმშილით არ გასწყდნენ. მრავალი აპირობს კავკავში წასვლას და მოხალისეებმა იქ გამოაცხადეს მობილიზაცია, რომლითაც სამხედრო ბეგრის მოსახდელად 16—68 წლიანებს იწვევენ. ამას გარდა მოხალისენი ისედაც ეპატიჟებიან მოხევეებს და ურჩევენ მათთან მოიხადონ სამხედრო ბეგარა. მდგომარეობა აუტანელია.

მწირი საცხოვრებელი ადგილები, შიმშილის აჩრდილი და კარზე მომდგარი ახალი განსაცდელი!

მთავრობას ჯერ არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია მათთვის და ვგონებ არც კი უნდა უწყოდეს მათი გაჭირვება.

ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლო დღეს დიდი საშიშროების წინაშე სდგას.

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ამ გადავიწყებულ კუთხეს, რომელიშიც მუდამ ჰფეთქს საქართველოს სული და სისხლი.

იმედია ის საზოგადოებანი რომელნიც უძღვებიან ჩვენს შინაურ საქმეებს რაიმე საშუალებას გამოსძებნიან დაბეჩავებულ მთიელების საშველად.

ნუ თუ მაშინ როდესაც ყოველდღე იმართება საქველმოქმედო დღეები თბილისში, არ შეიძლება გაიმართოს ხევის დღე?

შეიძლება ჩვენი წვლილი მცირედი იყოს მაგრამ ზნეობრივი მნიშვნელობა ხომ დიდი იქნება? მაგრამ, არა კმარა მათთვის მარტო სიმინდის ყიდვა და მათი დაპურება.

სირცხვილია პირდაპირ ამდენი ხნის უყურადღებობა.

ხევსა და მთიულეთში უნდა დავიწყოთ კულტურული მუშაობა. უნდა დავხსნათ სკოლები, სამკითხველოები, რომ ნიჭიერ მთიელებს საშუალება მივცეთ მოიკლან ის წყურვილი რომელიც ასე უშრეტი ნდობით ჰკლავს მათ.

ყველაფერს ამას დროზე უნდა მიექცეს ცხოველი ყურადღება და ის დაშორებული მაგრამ მარად ძვირფასი ჩვენი კუთხე მოვლილი უნდა იყოს ჩვენი ხელით და მზრუნველობით.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 9-ს

## ინგლისური პრესა.

### ოტტო ბაუერის განცხადება

გერმანულ ავსტრიის სტატს სეკრეტარმა ოტტო ბაუერმა ვენის მუშათა საბჭოში განაცხადა, რომ მთავრობამ მხარი არ დაუჭირა გერმანიასთან კავშირის შეკვრას მოკავშირეთა ჩარევის გამო. ავსტრიისთვის მოკავშირეთა დახმარება აუცილებელია. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ მხოლოდ მოკავშირეთა დახმარებას შეუძლია ავსტრიის ქალაქის მცხოვრებთა შიმშილით სიკვდილისაგან გადარჩენა,

### გენ. ჰინდენბურგი

ფელდმარშალ ჰინდენბურგს კოლ-ბერგიდან წასვლის წინ პრუსიის სამხედრო მინისტრმა მადლობა გამოუცხადა როგორც ყველასათვის საყვარელ გენერალს და მუდმივ გერმანელს.

### ჰამბერშტეინის ნოტები.

გენ. დელობემ პასუხი არ გასცა გენ. ჰამბერშტეინის 2 ნოტას სპაში დროებით ზავის კომისიის ბინის წინ მომხდარ დემონსტრაციის შესახებ გენ. ნადანმა აღნიშნა, რომ ის სწუხს მომხდარ დემონსტრაციის გამო. ჰაბერშტეინმა ეხლა მესამე ნოტა გაუგზავნა გენ. დელობეს.

### ავსტრიის მემორანდუმი

ავსტრიის დელეგაციამ პარიზში კონფერენციას გადასცა ვრცელი მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია ყოფილ ავსტრიის სავა ერთა დამოკიდებულება ავსტრიისადმი და ბრალდებულია უკანასკნელის პასუხისმგებლობა ომის შედეგებისა. მემორანდუმი ირწმუნება, რომ ავსტრიაში არ ყოფილა ერთი გაბატონებული და რამოდენიმე დამონებული ერი: ძალაუფლება ერთი ერისგან მეორე ერის ხელში გადადიოდა, რაშიაც ყველა იღებდა რამოდენიმედ მონაწილეობას, გარდა უკრაინელებისა. შემდეგ ნათქვამია, რომ უკანასკნელი რეფორმებით პოლონელებს, ჩეხებს და სამხრეთის სლავიანებს საშუალება მიეცათ მეტი გავლენა ჰქონოდათ სახელმწიფოს აღმასრულებელ ძალა უფლებაზე. ასეთი მდგომარეობა იყო ომის დროსაც. პოლონელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ომს, რადგან გრძნობდენ, რომ მხოლოდ ავსტრიის შემწეობით რუსეთში ცარიზმის დამხობით შეიძლებოდა პოლონეთის აღდგენა. სამხრეთის სლავიანები თანაუგრძნობდნენ იტალიასთან ომს. ჩეხელები არასდროს არ ყოფილან ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ და სცდილობდენ მისთვის შემოერთებინათ სლავიანთა სხვა ტერიტორიებიც, რათა ავსტრიაში სლავიანთა გავლენა გაეძლიერებინათ. ომის დაწყებისას ჩეხელები სხვა და სხვა აზრის იყვნენ, მაგრამ ომში ყველა დიდი იმედით მიდიოდა. მონარქიის დამხობის შემდეგ ძალა-უფლება შეთანხმებით იქნა განაწილებული ყველა ერთა შორის.

ეს ურყევი ფაქტია და არავითარი შეიარაღებული ბრძოლა მათ შორის არა ყოფილა. იმპერიის დამხობის შემდეგ ყველამ თავისი წილი მიიღო.

### ოდესის აღება.

გენ. გრიგორიევმა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ჯარების მთავარსარდალს დეპეშით აუწყა, რომ მკაცრი ბრძოლის შემდეგ მან აიღო ოდესა, სადაც მცხოვრებნი მას დიდის აღტაცებით შეხვდნენ.

### დემონსტრაციები ფრანკფურტში.

მაინის ფრანკფურტში მოხდა დიდი დემონსტრაცია, რომელზედაც მოითხოვდენ მუშაობის განახლებას და რკინის გზის ადმინისტრაციის დემოკრატიზაციას.

### ვილჰელმის გასამართლება.

ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო და ვილსონი შეთანხმდნენ, რომ ვილჰელმი ლონდონში უნდა გაასამართლონ.

### ავსტრიის ხელშეკრულება

იუწყებიან, რომ ავსტრიის ხელშეკრულება მზათ იქნება და ავსტრიას გადასცემენ 26 საათის შემდეგ. ხუთთა საბჭომ დღეს პასუხი გასცა ავსტრიას მის თაობაზე, რომ ის ხალხთა ლიგაში მიღებულ იქნეს. თუ ავსტრიელები კეთილსინდისიერად მოიქცევიან ავსტრიას მალე მიიღებენ თავის წევრად. იქნება, ლიგის პირველ სხდომაზედაც დაუშვან ოქტომბერში.

### ნორვეგიის თხოვნა

ნორვეგიის მთავრობამ საზავო კონფერენციას თხოვნით მიმართა, რომ გერმანიამ მას აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენა ომის დროს წყალ ქვეშათა მიერ მისი გემების და მეზღვაურთა დაღუპვით. ეს საკითხი ზარალის ანაზღაურების კომისიას გადაეცა. ნორვეგიელებმა წარმოადგინეს აგრეთვე მოთხოვნილება შპიცბერგენის შესახებ.

### ხუთთა საბჭო და თეთრგვარდიელები

ხუთთა საბჭომ წინადადება მისცა ჰელსინგფორსში მყოფ ამერიკის, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებს, რომ დაეხმარნენ კოლჩაკს, აასრულოს მისი თხოვნა და აგრეთვე დახმარება გაუწიონ ფინებს პეტროგრადზე შეტევის დროს.

### გერმანიის დელეგაციაში.

გერმანიის დელეგაციის მეთაურად ვერსალში ფონ ლესნერი დარჩა. რადგანაც გერმანიის დელეგატთა დაბრუნების დღე გადაიდო, ზარალის ანაზღაურების საკითხის განხილვა ხუთშაბათზე ადრე არ მოხდება.

### ოსმალეთის მზადება

საფრანგეთის ოფიციალურმა წრეებმა ცნობები მიიღეს, რომ ოსმალები მცირე აზიაში თავს უყრიან 40,000 ჯარს, რომელსაც დიდძალი მძიმე არტილერია და ტყვიისმფრქვეველები აქვთ. აღნიშნავენ, ვითომ ენვერფაშისთვის უთხოვნიათ, რომ ამ ჯარს ხელმძღვანელობა გაუწიოს.

### გერმანიის კონსერვ. პარტიის განცხადება

გერმანიის კონსერვატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოკავშირეთა მოთხოვნილება ყოფილ კაიზერის გასამართლების და გერმანიის მიერ ომის პასუხის მგებლობის აღიარების შესახებ შეუსრულებელია, ოპოზიციას უცხადებენ რევოლუციონურ მთავრობას რომელმაც ღირსება აყარა გერმანიას და მონარქიის აღდგენას ქადაგებენ.

### ფინეთის პარლამენტი

ფინეთის პარლამენტი ივლისის 10 თვით უნდა მოეწვიათ პრეზიდენტის ასარჩევად. მანერჰეიმის კანდიდატურის წინააღმდეგ ბევრია.

### გაფიცვა ბერლინში

ბერლინის რკინის გზის ტრამვაის და სხვა. მოსამსახურეთა გაფიცვები არ შეწყვეტილა, თუმცა მოსამსახურენი მზად არიან დამქირავებლებთან მოლაპარაკება დაიწყო.

### ტიროლის პარლამენტში.

ტიროლის პარლამენტში ბრუენმა და მისმა შეგობრებმა აიძულეს, რომ ტიროლი გერმანულ ავსტრიასთან საბოლოოდ შეერთებულად გამოეცხადებინათ.

### ჟოფრის სიტყვა.

გერმანული პრესა დიდის ინტერესით მსჯელობს ჟოფრის სიტყვის შესახებ, რომელიც მან საპარლამენტო კომისიაში წარმოსთქვა პარიზში, ომის დასაწყისში სამხედრო ოპერაციები, და განსაკუთრებით იმის მტკიცების შესახებ, რომ იაპონიის ჩარევა წინადვე იყო მოსალოდნელი. ინგლისთან საიდუმლო შეთანხმება უკვე არსებობდა. საფრანგეთს ინგლისის 6 დივიზიონის და ბელგიის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა. გერმანული გაზეთები თავის აზრს გამოსთქვამენ ასეთი აღიარების შესახებ, რომელიც ძვირფასი საბუთია პასუხისმგებლობის საკითხის გამოსარკვევად (და იმას) ამტკიცებს, რომ ბელგიაში გერმანელების შესევა ინგლისისა და ბელგიისთვის სასურველი საბაბი იყო, რომ ომში ჩარეულიყვნენ. გერმანელებს ეს ყოველთვის მიაჩნდათ საერთაშორისო უფლების დარღვევად. ბეტმან ჰოლვეგმა ეხ 1919 წ. აგვისტოს 4-ს აღიარა და დაჰპირდა უსამართლობის გამოსწორებას დღეს, როდესაც მთელი კულტურული ქვეყნიერება გერმანიის წინააღმდეგ აღსდგა და გერმანია დამარცხებულია, ჟოფრი აღიარებს, რომ საფრანგეთს იმედი უნდა ჰქონოდა ბელგიის დახმარებისა უფრო ადრე, ვინემ გერმანელები იქ შეიჭრებოდნენ.

### გერმანიის ეროვნული დროშები.

გერმანიის ეროვნულმა კრებამ ვეიმარში კონსტიტუციის საკითხი განიხილა. მიუხედავად ეროვნულ პარტიის და დემოკრატების უმრავლესობის წინააღმდეგობისა, გერმანიის სახელმწიფოებრივი დროშის ფერები ასეთი იქნება: შავი, წითელი და მარინჯის ფერი. სავაჭრო დროში დარჩება ძველი—შავი, თეთრი და წითელი ფერისა. სავაჭრო დროშის კუთხეები პატარ სახელმწიფოებრივი დროშა იქნება.

### კაიზერის გასამართლების ადგილი.

ლიონიდან იუწყებიან: ოთხთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ კაიზერი ლონდონში უნდა გაასამართლონ. ამერიკის დელეგატებს ამის შესახებ ჯერ ცნობები არა აქვთ და აღიარებენ, რომ საჭირო არ არის მათ ეხლავე შეატყობინონ ეს, რადგან ვილსონს წასვლის წინ ბევრი საქმე აქვს და კაიზერის შესახებ ან დავიწყდა ან და კაიზერის დასჯას ისეთსავე მნიშვნელობას აძლევს, (გაუგებარია) ლოიდ ჯორჯმა ეს საკითხი ისე დააყენა, რომ ყველა გააკვირვა. მას პირდაპირ უთქვამს: „წარმოიდგინეთ თქვენ იმის წინააღმდეგი არაფერი გაქვთ, რომ კაიზერი ლონდონში გაასამართლონ". ამაზე კლემანსომ მხრები აიწია, თითქოს საქმე მას არ შეეხებოდა. ვილსონიც ასე შეხვდა ლოიდ ჯორჯის სიტყვებს და სამთა საბჭო შემდეგ საკითხებზე გადავიდა. ეს საკითხი კონფერენციას არ გადაეცა, რადგანაც კლემანსო და ვილსონი წინააღმდეგი იყვნენ კაიზერის პარიზში გასამართლებისა. ვილსონი წინააღმდეგი იყო აგრეთვე კაიზერის ვაშინგტონში გასამართლებისა. ამნაირად, საკითხი ლოიდ ჯორჯის წინადადებით გადასწყდა და კლემანსოს და ვილსონის დუმილი ისე ახსნეს, თითქოს ისინი თანახმა იყვნენ ამაზე.

**№-ის არმიის შტაბი.** ივლისის 2. პერმიდან უკან დახევის დროს თეთრებმა კამას რკინის გზის ხიდი ააფეთქეს. პერმში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ გემები და სხვა სამხედრო მასალა. ჩვენი წინსვლა გრძელდება. პერმის სამხრეთით ჩვენ მტრის ორი პოლკი იარაღით დაგვნებდა. ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მდ. კამას დაუახლოვდა. ნოვოსსვენციანის მიმართულებით ჩვენ დაბა ვაზომი დავიჭირეთ.

# ჩეხეთი

ამას წინად. თბილისელმა ჩეხმა ჩეხეთიდან მიიღო წერილი, რაშიც ნაამბობია ჩეხთა მდგომარეობა.

### ომის დროს.

„საერთაშორისო ომის დროს დამოუკიდებლობის მოტრფიალე ჩეხებმა ბევრჯერ სცადეს მოეხდინათ ამბოხება მაგრამ ავსტრიის მთავრობა იმოდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ყოველთვის მოახერხეს ჩვენი ეროვნული მოძრაობის ჩახშობა ჩვენი პოლკები ავსტრიელებმა გერმანულ პოლკებში დაქსაქსეს, მეთაურები კი ციხეებში ჩასვეს და გაზეთები დაგვიხურეს. ეს შეუპოვ ალელვებდა ჩეხებს და ერთად ერთ იმედს „შევარდენს" მიჰმართეს. ვიკრიბებოდით იქ, ვარჯიშობდით და ამ რიგათ ჯარში წასულ ახალგაზრდითა სამაგიეროდ ადგილობრივ ვწვრთნიდით ახალგაზრდობას. ეს ერთად ერთი იმედიც დაგვიხურეს. მთელს ბოჰემიაში „შევარდნების" დარბაზებში ავსტრიული ჯარი ჩააყენეს და ამ რიგად ჩვენ „ეკლესიებში" აღარ გვალოცეს. მეორეს მხრით ავსტრიელთა შორისაც მოიპოვებოდნენ ისეთნი, რომელნიც თავის მთავრობის სურვილების წინააღმდეგ ჩვენ „შევარდენში" იყვნენ ჩაწერილი. ამათი შემწეობით, ღამე ვიკრიბებოდით და ვარჯიშობდით.

ომის დასრულებამდე ჩვენი მდგომარეობა ფრიად მძიმე იყო. პურით სავსე ბოჰემია პურის შიმშილს განიცდიდა. პურის დუქნებს 1918 წლამდე მშიერთა კუდი არ მოშორებია.

როგორც იყო დასრულდა ომი და ჩეხეთმაც თავისუფლად ამოისუნთქა. დაუბრუნდნენ ბრძოლის ველიდგან შვილები და მათ მეტის ენერგიით დაიწყეს ბრძოლა ავსტრიელთა წინააღმდეგ.

### დამოუკიდებლობა.

თუ ჩეხეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა ამაში უდიდესი როლი „შევარდენს" მიუძღვის. როგორც იცი, მთელს ჩეხეთში ჩვენი „შევარდნების" ორგანიზაცია საუკეთესო დისციპლინის ქვეშ იყო და საჭირო იყო მხოლოდ ნიშანი, რომ ყოველ პატარა სოფელს 500 იდან 1000-მდე კარგად გაწვრთნილი, მოვარჯიშე, პატრიოტი ჩეხი გამოეყვანა რომელთაც არ სთიშავდა პოლიტიკური ბრძოლის ქინი ვინაიდან „შევარდენი" პოლიტიკური დაწესებულება არ არის.

ეს ასეც მოხდა ჩეხეთის დამოუკიდებლობის მთელი ბოჰემიის ადმინისტრაციის და ჯარის შექმნა, რაც ასე ძნელია ნორმალ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოშიაც კი, ჩეხეთში ერთმა დეპეშამ შექმნა. „გამოცხადდა დამოუკიდებლობა, დაიცავით წესრიგი" და მართლაც ორი საათის

# აფხაზეთში.

ჩვენი რაზმიდან ტყვიისმფრქვეველთა ხელმძღვანელები გავგზავნეთ კოდორის ხიდის დასაცველად, რომლის აფეთქებას აპირებდნენ ბოლშევიკები, ყოველნაირი სამზადისი დავიწყეთ მომავალი ჯარი დასახვედრად სამი დღე გავიდა, ჯარი არ სჩანდა, ოთხი დღის შემდეგ ვ. ჯუღელი და კონიაშვილი ჩამოვიდნენ. ადგილობრივ ცნობების შესაკრებად, ამის შემდეგ გავიდა სამი დღე და ოჩამჩირეში გამოჩნდნენ გემები და „ბარჟები" ჯარით. დილის ოთხი საათიდან მთელი ქალაქის მოსახლეობა ფეხზე დადგა; ყველა მხიარული იყო, ყველა აღტაცებით ელოდა ქართველთ ჯარს.

მოხარულ მცხოვრებთა შორის აბხაზებიც იყვნენ; აქ შეკრებილიყვნენ მოხუცი აფხაზები და სიამოვნებით უყურებდენ ქართულ ჯარს: „მადლობა ღმერთს გვეღირსა რუსის ჯარის მაგიერ ქართველი მხედრების დანახვა ჩვენშიო"; იმდენად გატაცებული იყვნენ საერთო განწყობილებით, რომ მოხუცი აბხაზები ეხმაურებოდენ ბაწრის მოწევაზე ჯარის გადმოსხმის დროს „ბარჟების" ნაპირთან დასააბლოვებლად. ჩვენი ჯარის გადმოსხმის ერთი დღის წინ აბხაზთა ყრილობა შესდგა ოჩამჩირეში, ილაპარაკენ მონაწილეობის მიღებაზე მომავალ მოქმედებაში და ქართველთა ჯარის ხელის მოწყობის შესახებ. საჭიროდ დაინახეს შვიდი კაცისაგან მცხოვრებთა დამცველი კომიტეტი აერჩიათ, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართულ ჯარს მის მსვლელობის დროს და იგივე კომიტეტი აბხაზთა საბჭოს მაგიერობას გასწევდა მომავალ არჩევნებამდე. თვით ყოფილი სახალხო საბჭო არც ერთ წრეს აბხაზებისას არ აკმაყოფილებდა: არავითარი საქმე ამ უნიადაგო დაწესებულებას არ გაუკეთებია. არჩევაც ამ საბჭოს რაცაა ყოველივე საარჩევნო წესის დარღვევით მოხდა, ამიტომ არავითარ ნდობას და მნიშვნელობას ამ საბჭოს აბხაზები არ აძლევენ: მისი არსებობა მავნებლადაც მიაჩნიათ. აბხაზთა ამნაირი განწყობილებით ჩვენ უნდა გვესარგებლა და რაკი აბხაზთა საბჭო ამ გაჭირვების დროს გაჰქრა, სადღაც მიიმალა, მისი მოძებნა და აღდგენა ჩვენი მოვალეობა არ იყო, მით უმეტეს, როცა თვით აბხაზები არ იყვნენ კმაყოფილი ამ საბჭოს არსებობით; მაგრამ ჩვენ მართველ პარტიას თავიდანვე დაჰყვა აბხაზეთის საქმეებში სრული გაუგებრობა და ჩვენი ინტერესის შეუგნებლობა. როცა ოჩამჩირეში საბჭოს მაგიერ 7 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი აირჩიეს აბხაზებმა, ამ არჩეულთა რაცხვში 4 ქართველ-მეგრელი იყო, მათშორის ორი საზოგადო მოღვაწე—სოციალისტი და ორი მათი მომხრე—მორჩილი და მხოლოდ სამი აბხაზი; არც-ერთი აზნაური ამ კომიტეტში განგებ არ გაურევიათ; ეხლანდელ ქართველობის განწყობილებას არ შეეფერება აზნაურების მონაწილეობა საზოგადო საქმეშიო. ამ კომიტეტს შვიდი წევრი სოხუმიდან მოემატებოდა, შემდეგ გუდაუთიდან შეივსებოდა რამოდენიმე წევრებით, ასეთი დაწესებულება უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩვენ ჯარს და ქართველურ საქმეს, სანამ უსისტემოდ და უფერულად შედგენილი საბჭო; მაგრამ ოჩამჩირელ პარტიის კაცებმა ვალიკო ჯუღელის ნებართვით ეს კომიტეტი გარეკეს: გაკრული განცხადებანი ქუჩებში, არჩეულ წევრთა განკარგულების გასაცნობად შედგენილი, ქალაქის კომისრის ბრძანებით ჩამოგლიჯეს და ისევ ის გლეხთა საბჭო მოიწოდეს სათათბიროდ, რომელიც ორი კვირის წინად ჩვენი ჯარის ჩამოსვლამდე ბოლშევიკ—ლაკობას წინადადების და რჩევა-დარიგების თანახმად შესდგა. აქ არ შეიძლება, თვით ისტორიის მსვლელობის ყოველი მხრით გამოსარკვევად და შესასწავლად, ერთ ჩვენ ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში დიდ საპასუხო როლის ამასრულებელ პირადობას არ შევეხოთ და მისი მონაწილეობა სოხუმის საქმეებში არ აღვნიშნოთ. როცა ადამიანი კერძო პირადობაა, ის უჩინარია და მისი ასე თუ ისე მონაწილეობა ცხოვრების მსვლელობაში იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის ყურადღების ღირსი არ არის, მაგრამ, როცა კერძო ადამიანი საზოგადო მოღვაწედ ხდება და მის მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების მიმართულებაზედ—ასეთი პიროვნების დატოვება დაუხასიათებლად თვით საისტორიო მასალების შემკრებთა მხრივ დანაშაულებაა. ბატონი ვალიკო ჯუღელი აღზრდილია ქ. სოხუმში, მისი მამა-ანთიმოზი იმ დროის მოღვაწეა ქ. სოხუმში, როცა ქართველობის სასარგებლოდ ყოველიფე კანონიერ მოქმედებასაც კი სდევნიდენ: მოხუცი ანთიმოზი გადასახლებული იყო თედო სახოკიასთან და აკაკი ჩხენკელთან ერთად აბხაზეთიდან იმიტომ რომ ის ქართველობის ინტერესს აშკარად იცავდა. პატარა ვალიკოზედაც სოხუმელი ქართველები დიდ იმედებს ამყარებდენ: ეგონათ რაკი მოხუცი მამა ამდენს სცდილობს ქართველების საქმეებისათვის, მისგან აღზდილი შვილი უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ქართველურ საქმესო. პირველი გამოსვლები ვალიკოს ქ. სოხუმში 1905 წლის რევოლიუციის დროს იყო; გამოირკვა, რომ ის გაცხარებული დამცველი იყო სოციალ-დემოკრატიის აზრების; დიდი ნაკლულევანება მისი ხასიათის ის იყო, რომ თავის დაჭერა, კამათის დროს მშვიდობიანობა, დარბაისლობა არ უხერხდებოდა; პირველად ამას ყმაწვილობას ვაწერდით და ვიმედობდით, რომ დროთა ვითარება თვით გამოასწორებდა ამ ნაკლს; მაგრამ, როცა გავიდა დრო და 5—6 წლის შემდეგაც თითქმის ყოველივე მისი მსჯელობა კრებებზედ ხელ-ჩართული ჩხუბით თავდებოდა, საზოგადოება, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა; გაზეთებშიაც აწერილი იყო რამოდენიმეჯერ ის შემთხვევები, როცა ვალიკოს მონაწილეობით ცემა-ტყეპის სცენები მოხდა. რუსეთში ვალიკო ჯუღელის ჩვენებურ სტუდენტთა წრეში ყოფნა იმით არის აღსანიშნავი ისტორიისათვის, რომ მან პირველმა განაცხადა წინააღმდეგობა პეტროგრადელ ქართველ სტუდენტების სახელით ილიას ვერაგულად მკვლელობის გამო სასამძიმრო დეპეშის გამოგზავნაზედ. თვით სოხუმის ქართველურ საქმეებს უკანასკნელ დღემდე ვერ აუღო ალღო ვალიკო ჯუღელმა.

ნ. თავდგირიძე.

შემდეგ დაწყებული არაგიდან უბრალო სოფლამდე ჩეხ „შევარდენი“ შემწეობით, ჩეხური ადმინისტრაცია მოეწყო.

ამ გარემოებამ ძალიან გაადვილა სახელმწიფო აღმშენებლობა და ადგილობრივ გერმანელებსაც პატივისცემა აღუძრა ჩეხებისადმი. ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ღამის 11 საათზე საოპერო თეატრში გერმანული „ოპერა“ იდგმებოდა. გერმანელებმა თეატრში, რომ გაიგეს ეს ამბავი, შეშინდნენ უნდოდათ დაშლილიყვნენ. მაგრამ ამ დროს გამოვიდა ერთ ერთი ძმა („შევარდნები“ ერთმანეთს ძმებს უწოდებენ) და განუცხადა. „ნუ გეშინიათ, თქვენ იმყოფებით „შევარდენ“ დარაჯების მფარველობის ქვეშ, განაგრძეთ ოპერა“-ო ხალხი ტაშის ცემით შეეგება ჩეხეთის დამოუკიდებლობას.

**მთავრობის ნაბიჯები.**

საგარეო საქმეთა მინისტრად ცნობილი **ჩადა** არის, რომელიც ეხლა ხანს პარიჟშია საზავო კონგრესზე, ოხთა საბჭოს კრებებს ბევრ სხდომებზე თანასწორი ხმის უფლებით ესწრება.

მთავრობის პირველი ნაბიჯები მიმართული იყო სასურსათო საქმის მოწესრიგებისაკენ. (ავსტრიის მცირე ერებთან მეტად კარგ განწყობილებაშია ჩვენი მთავრობა. ავსტრიელ გერმანელთა ეროვნული მოძრაობა არ იყო ჩვენს წინააღმდეგ მაინცა და მაინც მომართული, მხოლოდ საქსონიის გერმანელებმა ვერ აიღეს ჩვენდამი კარგი მიმართულება.

ერთი სიტყვით ჩეხეთი დღეს დღეობით დღესასწაულობს.

**1920 წლის დღესასწაული.**

თავისუფლების სადღესასწაულოდ ჩვენი მთავრობა 1920 წელს მოაწყობს დიდს დღესასწაულს. ამ დღესასწაულზე განზრახულია მონაწილეობა მიიღონ მთელი ქვეყნის „შევარდნებმა“ თუ 1912 წელს დამონებულებმა შევსძელით 12 ათასი მოვარჯიშის შეკრება ეხლა თავისუფალნი უფრო მეტის ენერგიით შეუდექით ამ საქმეს და იმედია ჩვენი პრაგის დღესასწაული არა მარტო ჩვენთვის მრავალთათვის იქნება თავისუფლების დღესასწაულად“.

## უცხოეთის ამბები ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ბიუნკენენი ბოლშევიკებთან ბრძოლის შესახებ.**

ინგლისის ყოფილი ელჩი პეტროგრადში ბიუნკენენი „ტაიმს“-ში სწერს. „რომ რუსეთის ბოლშევიკური შხამი არ გავრცელდეს მთელს ქვეყნად დაგვჭირდებოდა რუსეთზე დიდი ზღუდეების შემოკვრა. ეს ჩვენთვის გაცილებით ძნელი იქნება ვიდრე ერთის დაკვრით ამ შხამის სათავეშივე განადგურება. ჩვენ ვერ შევსძლებთ, რომ ის ჯარი, რომელიც ამდენ ხანს იბრძოდა აქაც ვაბრძოლოთ. არა, როდესაც სახლში გაშვებულები რამდენიმე თვეს დაისვენებენ, მოხალისეების პოვნა რუსეთში წასასვლელად ჩვენ არ გაგვიძნელდება.

თუ ჩვენ გვსურს რომ რუსეთი ბოლშევიკების ტირანიისაგან გავათავისუფლოთ, უნდა ძმურად მივეშველოთ. საქმე არც ისე ძნელია როგორც ჰგონიათ. პეტროგრადისა და მოსკოვის აღება საკმარისია, რომ ბოლშევიკების პრესტიჟი დაეცეს.

თუ ჩვენ მეორე გზას დავადგებით და რუსეთს დავტოვებთ თავისთვის ანაბარად, მაშინ ინგლისს წაურეცხელი ლაქა მიეცხება, რადგან ეს იქნებოდა ჩვენზე მონდობილ ხალხის დალუპვა და რუსეთის გერმანიის ხელში გადასვლა. მაგრამ არსებობს მეორე საფრთხეც. ლენინი მარტო ინდოეთში კი არ გვიჯანყებს ხალხს, არამედ ჩინეთშიაც საქმეს იკეთებს, რომ ჯარი შეჰკრიბოს. ეს იქნებოდა საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა“.

**ხარლამოვის განცხადება.**

სამხრეთ რუსეთის კავშირის დაარსების შემდეგ დონის ოლქში აღიძრა საკითხი, შეიძლება თუ არა შეიკრიბოს საგანგებო სესია დონის დიდი წრისა, რომელიც ამ კავშირს მოაწყობდა. ამის საწინააღმდეგოდ იყო აზრი რომ ეს ჩაჰბარებოდა სამხედრო წრის საკანონმდებლო კომისიას.

წრის თავმჯდომარემ ხარლამოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ახლო მომავალი როგორც სჩანს სწრაფად იცვლება და გადამწყვეტი ხანა მწიფდება, ასე რომ აუცილებელია საგანგებო სესიის შექმნაო.

**რუსეთის ვაჭრობა აღმოსავლეთის ნავთსადგურებით.**

რუსეთის და ციმბირის მრეწველთა ყრილობამ (ვლადივოსტოკში) გამოიანგარიშა რომ აღმოსავლეთის ნავთსადგურებით რუსეთს შემდეგნაირად უსარგებლია 1918 წლის განმავლობაში.

გაუზიდავთ: სამიწადმოქმედო მანქანები 2.500.000 ფ., სხვა მანქანები და რკინეულობა 1.000.000 ფ., ცხვრის გარეცხილი მატყლი 100.000 ფ., ქონი და ლორი 100.000 ფ., ტყავები 250.000 ფ., ბეწვი და ბუმბული 53.000 ფ.

შეუტანიათ: მიწადმ. მანქ. 2,500.000 ფ., რკინეულობა 3 მილ. ფუთი, წვრილი თოკი 200.000 ფ.

**ოსმალეთის დელეგაცია ათთა საბჭოს წინაშე.**

როგორც პარიზიდან იტყობინებიან ათთა საბჭომ განაცხადა, რომ მხოლოდ ოსმალთა დელეგატების მოსმენის შემდეგ შეუდგება თავის საქმეების გარჩევას. ოტტომანთა იმპერიას უფლება მიეცა თავისი მოთხოვნილებანი დაეცვა. ეს უფლება გერმანელებს და ავსტრიელებს არა ჰქონდათ.

## კორესპონდენცია

### ქ. გ ო რ ი.

კარგა ხანია, რაც ქ. გორში კვირაში ერთხელ იმართება წარმოდგენები, რაშიაც მონაწილეობენ ყველა, ბრალიანი და უბრალო, მცოდნე და უვიცი, ხოლო, ყოველ შემთხვევაში, არა სასცენო ნიჭის მატარებელნი. სერიოზიული პიესა, თითქმის სრულებით არ იდგმება, ყოველთვის ერთ ან ორ მოქმედებიან პიესა-ვოდევილი, უშინაარსო, უაზრო, სახუმარო. ყოველივე ამისთანა წარმოდგენას წინ უსწრობს საკმაო ფასიანი ბილეთი და მისი ძალად გამყიდველი კაცი ან ქალი,—და ახასიათებს მონაწილეთა როლის უცოდინარობა, სცენის მოუწყობლობა, გრიმის შეუფერებლობა, ან მისი სრულებით უქონლობა, პიესის თერთმეტ საათზე, ან უფრო გვიან დაწყება, მაყურებელთა დამქანცავი დაუსრულებელი ანტრაქტები და სხვა.

ალბად ამისთანა წარმოდგენების ზეგავლენით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხალხი თეატრს ძალიან ერიდება.

არ ვიცი ვისი მოვალეობაა, რომ ამისთანა ანრომალურ მოვლენას ყურადღება მიაქციოს და ძირიანად თუ არა, შესამჩნევად მაინც აღკვეთოს გამრავლებულ „სცენის მუშაკთა“ უგემური სამსახური სცენასა და ხალხისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ გორი მოზრდილი ქალაქია—ვერ იქმნა და ვერ დაარსდა ისეთი ჯგუფი, რომელიც ღირსეულად გაუძღვება სცენის საქმეს გორში; თუმცა წარსულშიაც და წრეულსაც იყო ცდა—შეექმნათ სცენის ნამდვილი მოყვარეთა წრის თუ ჯგუფის, მაგრამ ამისთანა ცდები ვერ ხორციელდებოდა რაც მეტად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს.

ი. ხ—ძე.

### ქ. ჭიათურა

ქ. ჭიათურაში არსებობს ვაჟთა და ქალთა პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი.

ამ სასწავლებლებს ყოველ წლიურად ამთავრებს დაახლოვებით ოთხმოცამდე ახალგაზდა, რომელთაგანაც უმცირესობა, შეძლებული მშობლების შვილები, აქამდის მიდიოდნენ სხვა და სხვა ქალაქებში სწავლა-განათლების გასაგრძობად, უმრავლესობა კი, შეუძლებლობის გამო, სახლში რჩებოდა სწავლა-განათლებას მოკლებულნი. ამ ბოლოს დროს, როდესაც ცხოვრება საზღაპროდ გაძვირდა, ბევრ შეძლებულთაგანებსაც დაუმძიმდათ ბავშვების სხვა ქალაქებში შენახვა და იძულებულნი გახდნენ მათთვის სწავლა-განათლებაზედ ხელი აეღებინებინათ.

ამნაირად, აქაური სასწავლებლების კურს დამთავრებულნი გზაზედ სწყვეტენ სწავლა-განათლებას, რის გამოც ჩვენი სამშობლო მომავალ ახალგაზდობაში ჰკარგავს ბევრს სასარგებლო მამულიშვილებს.

ასეთმა გარემოებამ ჭიათურის საზოგადოებაში წამოაყენა სწავლა-განათლებას მოკლებულ ახალგაზდობის საბედისწერო საკითხი. ამ მწვავე საკითხს გამოეხმაურა ჭიათურის ქალაქის სასკოლო კომისია, რომელმაც თავის უკანასკნელ სხდომაზედ, რომელიც გამოიტანა დადგენილება შესახებ იმისა, რომ მომავალი ენკენისთვიდგან ჭიათურაში ქალაქის გამგეობამ უნდა გახსნას ახალი ტიპის გიმნაზია, მეხუთე კლასიდან, ვინაიდგან ასეთ გიმნაზიაში გადმოსვლის უფლება აქვთ პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლების კურს დამთავრებულებს გამოუცდელად.

ამ წელში უნდა გაიხსნას უეჭველად მეხუთე კლასი, ხოლო მეექვსეც კი, თუ ამ უკანასკნელი კლასისთვის აღმოჩნდება მოწაფეთა საკმარისი კონტინგენტი.

მასთან, ვინაიდგან ქალაქ ჭიათურას ორი გიმნაზის გახსნის საშვალება არ აქვს ჯერჯერობით, ამისთვას ამ თავით გაიხსნება ერთი—შერეული გიმნაზია, ესე იგი ვაჟების და ქალების. მომავალში კი, როდესაც ქალაქს საშვალება მიეცემა, რაღა თქმა უნდა, ქალებისთვისაც იქნება გახსნილი ცალკე გიმნაზია.

ზემოაღნიშნული გიმნაზია იხსნება ჭიათურის და საჩხერის რაიონებისთვის.

როგორც ზემოდ არის ნათქვამი მეექვსე კლასი გაიხსნება ამ მიმდინარე წელიწადშივე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ კლასისთვის აღმოჩნდება მოწაფეთ საკმარისი კონტიგენტი. ამისათვის საჭიროა, თუ კი არიან ისეთი მოწაფენი, რომელთაც ამ კლასში ესურვებათ გადმოსვლა სხვა და სხვა ქალაქებიდგან, მათ წინდაწინ უნდა განაცხადონ ამის შესახებ. დარწმუნებული ვართ ჩვენ, რომ ასეთ სიმპატიურ განზრახვას, ჩვენი საზოგადოება დიდის ყურადღებით შეხვდება და მასთან ჯეროვან დახმარებას აღმოუჩენს მას როგორც მორალურად აგრეთვე მატერიალურად.

ალ. გამრიკელი.

### ქ. ახალ-სენაკი.

4 მკათათვის დღის 4 საათზე მილიციონერი ძუკუ სალაყაია შესულა ხუხიას რესტორანში და დაულევია ღვინო. რესტორანის პატრონს ხუხიას სალაყაიაზე ღვინოს ფული მოუთხოვია, მაგრამ მას უარი უთქვამს. ხუხიას ხელმეორედ მოუთხოვია ფული ამდენი მოთხოვნით სალაყაიას გული მოუყვანია და რევოლვერი ესროლა ტყვიას გაუვლია გულის გვერდით. დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს. სალაყაია კი შეიპყრეს.

ამავე დღეს ძველ სენაკიდან გამოუყვანიათ ვილაც ჯლანჯლავა, რომელსაც ჰქონია გადაწყვეტილი ერთი თვე ციხე. დღის ორ საათზე სამაზრო კომისარიატიდან გაუგზავნიათ სამაზრო ციხეში და თან გაუყოლებიათ მილიციონერი ნესტორი ხუბულავა. ჯლანჯლავას გზაზე მილიციონერი დუქანში დაუპატიჟებია და ორივე დამთვრალან, მეტადრე მილიციონერი. მერე ჯლანჯლავას თხოვნით ისინი წასულან თეკლათის გორაზე. გზაზე ჯლანჯლავას ეს მილიციონერი ჯოხით მოუკლავს და თოფი და ტყვია კი წაურთმევია და გაქცეულა. მოკლული მილიციონერი სენაკში ჩამოასვენეს სალამოს.

ა. შ—ა.

### წერილი ხევიდან

სოფელ აჩხატში გარდაიცვალა ძვირფასი მამულიშვილი ვაჟარი გაბრიელ ბედოშვილი. აქ საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდე სიტყვით დავახასიათო განსვენებულის პიროვნება.

გაბრიელი ჩამომავლობით ოსი, დიდი მოსიყვარულე იყო საქართველოსი ქართული მწიგნობრობისა, შინაურ სწავლით გამოსული, ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის „დროება“-სა და „ივერიაში“ მუშაობდა. 42 წლის ვაჭრობაში სიკვდილის შემდეგ 700—800 მანეთიც არ აღმოუჩნდა, თუმცა მას კარგი შემთხვევები ჰქონდა გამდიდრებულიყო, მაგრამ ის ამაზედ სრულებით არ ზრუნავდა.

განსვენებული ამასთან დიდი მორწმუნე იყო და დიდი მცოდნე ქართულ ლიტერატურისა.

1877 წლიდან უკანასკნელ ომების დაწყებამდე ამას მოეპოვებოდა ყოველ გვარი წამლები და ხალხს შეძლებისდგვარად ბეჩავებს უფასოდ და შეძლებულებს იმ ფასად აწვდიდა წამლებს და დარიგებას, რა ფასითაც თითონ მას უჯდა. სხვაფრივაც დიდათ შველოდა ხევს და მასზედ პრესაში თუ ისე, მუდამ ხმას იმაღლებდა. დიდია განსვენებულის ღვაწლი დაჩაგრულ და დავიწყებულ ხევისადმი და მადლიერი მოხევეები არა დროს არ დაივიწყებენ მის კეთილ სახელს.

კალმის-წვერა.

ამ ჟამად ხევ [illegible] დიდად [illegible] რობით. [illegible] ხევებზე ადრე [illegible] რსებიან! დღეს-დღეობით კი ხალხი ეხლავე შიმშილს და პურის ნაკლულევანობას განიცდის.

ეს ერთ თვეზე მეტია, რაც მთის ოსობაში მთიულებმა და მოხევეებმა ხიზნობას მიჰყვეს ხელი და დღითიდღე კავკავისაკენ მიემგზავრებიან ცოლშვილით და ბინით დატვირთულ ურმებით. თუ მთავრობამ რამე ზომა არ მიიღო ხალხის საკვებისა და საზრდოს შეძენისათვის, ამ ზაფხულს ხევმთიულეთი დაცარიელდება. დამშეული ხალხი ყველაფერს იკისრებს და ძალაუნებურად შეიქმნება ულირსთა მონა. დენიკინის ტაქტიკა ისე არის დაყენებული, რომ ჩვენი დამშეული მთის ოსობა და ხევ-მთიულეთი აიძულოს შიმშილით და თავისკენ გადიბიროს. ეს ადვილი მოსალოდნელიც არის, რადგანაც დღეს კავკავში ოლქის მთავრობამ მობილიზაცია გამოუცხადა ყველა ეროვნებას და 17—63 წლამდე ჯარში ბოლშევიკებთან საბრძოლველად იწვევენ. ქართველებსაც ასე უბრძანებენ: „ვისაც გინდათ აქ ცხოვრება, აქ ჩაეწერეთ და სამსახური აქ გადაიხადეთო“. პურის სიიაფის გამო რადგანაც ხევში 150 მ. ფასობს სიმინდი ფ. და შოვნაც არ არის და ამავე დროს კავკავში კი 25—30 მანეთია ფუთი. დამშეულს მთიულებს და გუდამაყრელებს ყაზბეგში მოჰყავს ძროხები და ცხვრები, სხვილ-ფეხა საქონელს 5—6 ფუთს სიმინდზე სცვლიან და ცხვარსაც თითო ფუთზე.

კალმისწვერა.

## თბილისის ბირჟა

8 მკათათვე.

რუსული დ საზღვარგარეთელ ვალიუტის მოთხოვნილება მცირეა, ფასებიც სუსტი.

ნიკოლოზის 100 მანეთიანები იყიდება 300 მანეთამდე, 500 მანეთიანები 1600 მანეთად, პატარა კუპონები სულაც არ სჩანან. 1000 მანეთიან „კერენკებში“ იძლევიან 1600 მანეთამდე, 250 მანეთიანებში დაახლოვებით 40 პროც. დამატებით.

ინგლისის ვალიუტის მოთხოვნილება სულ არ არის. გირვანქა სტერლინგში იძლევიან 430 მანეთს, ბანკნოტებსა და ჩეკებს 400 მან. ფრანგული ბანკნოტები 22 მანეთად იყიდება.

ოსმალური ოქროს ლირები ისევ გაიაფდა. იძლევიან 350 მანეთს, ქაღალდის ლირა არ დაცემულა; ფასობს 85 მანეთად.

პროცენტების მომტანი ფასიანი ქაღალდების მოთხოვნილება გრძელდება, 43 როც. რენტა გაძვირებულა 200 მანეთამდე, თავისუფლების სესხი დღეს აწეულია 82 მანეთამდე, 5 პროც. შინაური სესხი 1915 წლის იყიდება 130 მან., 5-ნახევ. პროც. სესხი—120 მან.

დივიდენდის მომტანი ფასიანი ქაღალდების მოთხოვნილება მეტად დიდია.

სავაჭრო ბანკის აქციები იყიდება: I 420 მან., II, III—370—380 მანეთად, კავკასიის დამზღვევი ამხანაგობის აქციები 160 მან., იმპორტის და ექსპორტის ამხანაგობის 155 მან. ხოლო კავკასიის ბანკის აქციები გადის 300 მანეთში.

ჩეკების გაცვლისათვის 30 პროც. თხოულობენ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მებრაგიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიიდი და . სხივებით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.


## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

58.

ესე უყურებდა იმათ აშოტ დიდიც და ცდილობდა გაემტკიცებინა მათი ყოფა. როცა გაბრიელ ერის მთავარმა აუწყა აშოტს ღირსება სანატრელისა მამებისა და უდაბნოში მათგან მონასტერთა შენება, მეფემ დიდი ყურადღება მიაქცია ამ სამღრთო ახალშენებს და თვის საზრუნველ საგნად დასახა ისინი. თავისი ხელით დაწერა ეპისტოლე და გაუგზავნა გრიგოლს: თავისთან იწვევდა წმინდა მოღვაწეს. გრიგოლი ეახლა მეფეს. მიიწია რა პალატად, მოეგებნეს მას ძენი მეფისანი; ვითარცა მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მეფე ზე აღსდგა და მიეგება გრიგოლს, აშოტმა დაწვრილებით გამოჰკითხა ნეტარს ხანძთისა და იქ მათის მოღვაწეობის ამბავი. გამოიკითხა ამბავი და ცხოვრება დედად მონასტრისაც, ეტყოდა მას გრიგოლ.

— კეთილ არს უდაბნოთ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა. აქვს მას წყარონი მდიდრად გამომდინარენი, გრილნი მაღნართა სიმრავლე ურიცხვი. აქვს მცირედ რაიმე სხვაცა ნუგეშის საცემელი. ხოლო სათესი ყანაი და სათიბელი ქვეყანაი არა არს.

წყალობა უყო მეფემ მეფური: შესწირნა ადგილნი კეთილნი; აღუთქვა სხვაცა მრავალი. უძღვნეს თავის მხრივ სანახები დედოფალმა და შვილთა აშოტისათა. რაიცა სახმარი მონასტერსა უხმდა. ყოველივე შესწირეს უხვად. არ დაივიწყეს დედათა მონასტერიც: მიართვეს მასაც ძღვენი მრავალი. სიხარულით გაემართა ბერი მეფის სასახლიდან, ნუგეშცემული, დაიმედებული, მადლიერი ღვთისა და კაცთა.

გაძლიერდნენ სავანეები ნივთიერად, უზრუნველყოფილ იქმნენ საცხოვრებლის აღმატებით. ამაღლდნენ სულიერადაც. შეეძინებოდა რიცხვსაც მოღვაწეთა. მოვიდნენ მონასტერში წმიდა კაცნი: ეპიფანე, მატოი, ზენონ დიდი. ესენი ჯერ მაშინ—იყვნენ გრიგოლის მეგობარნი და პატივისმცემელნი, როლესაც ის იზრდებოდა და იწვრთებოდა ნერსე მეფის კარს. ეხლა მხარი მისცეს გრიგოლისაგან მარჯვედ დაწყებულ კეთილ საქმეს და განაბრუნეს ის თვისის სიკეთით თუ ნათელმოსილობით. ამათაც მოართვეს მონასტერს სიმდიდრე თავიანთ მამულებით თუ განძეულობით, მეტადრე ზენონმა, რომელი იყო შვილი საჩინოსისა კაცისა და ჰქონდა მამულ-დედული ურიცხვი.

დედათა მონასტირიც აღორძინდებოდა და გაბრწყინდებოდა. მოღვაწეთა რიცხვი აქაც განმრავლდებოდა. მივიდნენ მონასტერს დაი ზენონისა მარიამ, რომელ ოდესმე ცდუნებულ იქმნა ეშმაკეულისაგან უკეთურისა, ხოლო აწ მკაცრი ცხოვრებით. და სამკვიდრებელის შეწირვით გამოისყიდდა ცოდვათა სიმრავლეს სიჭაბუკისა; მონაზონი ეფემია სიყრმიდგანვე დედოფალთან ხლებული და მისი თაყვანისმცემელით; ღრმად მოხუცებული დედა გრიგოლისა ანაი, რომელს ეტყოდა თებრონია:

— ღვთის მოყვარეო დედაო! შვილისა შენისა გრიგოლისა თანა მე ვარ აწ შვილი შენი და არა დაგაკლდეს ჩემგან სამსახურებაი ყოვლადვე.

სხვანი მრავალნიც ღირსეულნი დაივანებდნენ მუნ ცხოვრებას ქრისტიანულს სანუგეშოდ ეკლესიისა, კეთილსაყოფელად ხალხისა. ისევე უხვად და ნაყოფიერად მრავლდებოდა რიცხვი ქართველთა მოღვაწეობისა სასულიერო სარბიელზედ მამა გრიგოლის და დედა თებრონიას გარშემო, როგორც მამულის დამცველთა რიცხვი სახელოვანი, სიქველით მკული აშოტის გარემო.

და ეს ორნი ღირსეულნი დამცველნი აშოტ და გრიგოლ მზირად ედგნენ თავის ერის კეთილდღეობას, ვით დედამძუძენი სათუთად აღზრდილ უფლის წულს განგებისაგან სასიკეთოდ აღბეჭდილს. შესჯიბრებოდნენ იგინი ერთმანეთს ნანინანატრის აღზრდაში, მის კეთილად განვითარებაში· მის შესახებ ერთისა და იმავე განუყოფელი ჰაზრის მექონნი, ერთად ერთ დიდებულ მიზნებისაკენ მისწრაფებულნი თვისაგან რჩეულ სხვა და სხვა სავალით. ისინი ვერ მიუტევებდნენ ერთმანეთს თუნდ წამიერ მოუძლურებას ან შეცთომას თუ რყევას ამ წმიდა მოვალეობის აღსრულების დროს. მზირ თვალს ამ ორის ღვთივ კურთხეულის დარაჯისას ვერ ასცდებოდა ვერც ერთი მოქმედება, რომელი თუნდ ოდნავ შეარხევდა მათ საალერსოის კეთილყოფასა. ეს უხაროდა მათგან ლამაზად დაცულ-დაფარულ ქვეყანას, მათგან ერთგულად მოვლილს, განებივრებულს. და იღიმოდა იგი ქვეყანა, ღიღინებდა, მღეროდა; როკავდა წინაშე თვისის მეუფის ბრწყინვალე საყდრისა.

დედოფლის ნაღველს, ქართველთა მოჭირნახულე დედის სევდას, აღმოცენებულს აშოტის შეცდომის გამო, უსათუოდ დაინახავდა მსახური ეკლესიისა, მზრუნველი მეორე, მამულის აღორძინებაში და სჯულის განმტკიცებაში მეტოქე პირველისა. მართლაც იმ მეჯლიშის დროს ცხადად ნახა ყოველივე ეს დედა თებრონიამ. მაშინვე აიყოლა გონების თვალი ვაჟკაცის გულისთქმას შემღვრეულს. იგრძნო მის მა ნაწამებ-ნაწრთობმა გულმა, რა გრძნობით ავარდისფერდა სპეტაკი ლაწვი მეუღლისა, როგორმა სიამემ შეარხია მისი მოქნილი ტანი ნაქანდაკები. ისიც შენიშნა მონაზონმა, რომ ქალის თითქო უნებლიეთ შეხებამ რა ნექტარი ასვა ვაჟკაცს უხილავი, გარნა ძლიერად დამათრობელი, ნეტარების ლბილ სხივებში ჩანთქმული, ცხადივე სასავო ოცნებათა მახორციელებელი. ვაჟკაცი მაშინ მთლად ღიმილად გარდაიქცა, სიტკბოების მსახველ, მის ხორციელ არსების მანათობელ ღიმილად.

ეს თვით განდეგილმაც შენიშნა, ტაბლაზედ შემთხვევით მყოფმა წმიდა გრიგოლიმ: იცნობდა იგიც სიყვარულის ისარს სასურველად მზასრავს, ალიასავით მწველ ტრფობის მატარებელს; მის გულს დღესაც თეთრ კორძად ემჩნია გამრთელებული ნაწვერალი სამიჯნუროდ განმახულის ბოძალისა. რა ვუყოთ, რომ უდიერმა ნებისყოფამ გადაუტეხა გულს განაწონი ისარი საბედისწერო, ხოლო მკაცრმა უკვეხობამ შემუსრა თვით შვილდიც მოზიდული, მარჯვენაც შვილდის მომზიდველი. ხსოვნათა ფსკერზედ მაინც ეხატა სურათი შემუსვრილის ვნებისა და იგი ხატი ხელთუქმნელი ზოგჯერ სისხლ-ხორცსაც შეისხავდა, სიცოცხლით შეივსებოდა და საყვედურით შეჰხედავდა უკვე წმიდაქმნილ ვაჟკაცს. ხორცი ჰყვედრიდა სულზედ გადაგებულს, რომ არსება მისი იქმნა უსამართლოდ უარყოფილი, ქვეყნიურ ლამაზ სიამეთაგან ძალით განრისხული, ამაოდ გმობილი, უხეში ბრძოლით დამონებული.

— იქნება ნივთთა სამფლობელოში მისთვის მოგავლინა შემოქმედმა ყოვლადმეცნიერმა, შე საწყალობელო, რომ განგევითარებინა სახევე ნივთიერი, აგეღორძინებინა ძალნი მიწიერნი, გაგემრავლებინა შეძლება ხორციელ არსთა მწყობრ და უხვ დენისათვის. შენ კი ეწინააღმდეგე ნებას განგებისას, გადაილომ-გადაეხირე ცხოვრების სვლას სასიამოს. გინდოდა შეგეყენებინა მოციკვავე დენა სიცოცხლის მძლავრ მდინარისა?! შენ რა იცი, იქნება სულიერი ცხოვრებისათვისთვის განგებულა სამყარო სულიერი, ხოლო ხორციელი არსებისათვის მშვენიერისა ედემია ამ ქვეყნად დანერგილი, ცხოვრება ესე ნივთიერი.

— ნუ თუ?! ვაჰ, თუ, უგუნურო, შენ თითონ განაძე შენი თავი ედემიდგან ღვთიურ ქმნილისა და დაალონე გონებაც, შენი თავიც და... და ისიც, დასევდიანებული თვალით რომ გაჰყურებს თავის წარსულს შორეულს, თავის არსებას ოდესმე ნოყიერი სიცოცხლით სავსეს, ხოლო აწ განხმელს, მკაცრს, უტეხს, ულმობელს...

— არა! შორს ჩემგან მავნევ მაცთურო! ცოდვათა სიმრავლემ შეამძიმა სული ჩემი მსუბუქფრთიანი, ხორცმა ხრწნადმა, თვით თავის მშვენიერებაში მშვენიერმა. ნებისყოფით ძლიერით უარყოფის ჩემგან მწირი ესე ნივთიერი არსებაი ჩემი, დაიმსხვრევის საპყრობილეი ესე სულისა ჩემისა ცოდვათაგან თხზილი. ითავისუფლოს სულმან ჩემმან, თანაზიარმან ღვთაებისა! აღვივდეს საყდრად დაუვსებელის მის ნათელისა! მაგრამ...

წმიდა მოღვაწეთ, გრიგოლს და თებრონიას, ესმოდათ სიძლიერე ნივთიერის მიჯნურობისა, რომელი აღგზნებულიყო იმ ორთა შორის, მეუღლისა და აშოტის შუა, წინადაც დაფიქრებულიყვნენ ამაზედ; გრძნობდნენ, რა უძლეველი იყო ჯაჭვი მათი მბორკავი და თან ტკბილი, უტკბესი თაფლისა მის გოლეულისა; მაგრამ გონების თვალითა ჰხედავდნენ, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ნებას ღვთისას, სწავლას ეკლესიისას, ადათს ერისას და მაშ იყო ცოდვა შეუნდობელი, ცთომილება მოსასპობი, ძირიანად აღმოსაფხვრელი.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)